პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 53 (9829) | ხუთშაბათი, 4 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას წმიდათა-წმიდად მიაჩნიათ ჩვენი ხალხის სურვილი — უზრუნველყოს მშვიდობიანი შრომა და მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლება. ამიტომ პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ არ დაუშვან ახალი ომი, რომ [illegible] რობდნენ მშვიდობით, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩevლის, მუშების, გლეხების, საბჭოთა ინტელიგენციის, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებისადმი.

ახალი მიწების ასათვისებლად, ახალგაზრდა პაჭრიოტებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებითა და პარტიისა და მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებებით დასახულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის უსწრაფესი აღმავლობის საბრძოლო პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სხვა რაიონებში.

პარტიამ და მთავრობამ ამოცანად დასახეს 2-3 წლის განმავლობაში უზრუნველვყოთ ისეთი აღმავლობა ჩვენი მრეწველობის და სოფლის მეურნეობისა, რომ ამან საშუალება მოგვცეს მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება სასურსათო და სამრეწველო საქონელზე, გამოვუშვათ იმდენი ნედლეული მრეწველობისათვის, რამდენიც აუცილებელია საჭირო საქონლის დასამზადებლად. მაგრამ იმისათვის, რომ წინ წავწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი და უწინარეს ყოვლისა მეცხოველეობა, უნდა გვქონდეს მეტი მარცვლეული. მარცვლეული მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია: რაც უფრო მეტ მარცვლეულს მოვიყვანთ, მით უფრო მეტი გვექნება არა მარტო პური, არამედ ხორცი, ერბი-კარაქი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებიც. ამიტომ პარტია და მთავრობა მოგვიწოდებენ გავადიდოთ მარცვლეული კულტურების ნათესი, 1954-1955 წლების განმავლობაში ციმბირში, ყაზახეთში, ურალსა და ვოლგის-პირეთში მოვხნათ მილიონობით ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები.

ახალი მიწების ასათვისებლად, რაც მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად მარცვლეულის წარმოების გადიდების უმნიშვნელოვანესი საფუძველია, სახელმწიფო იძლევა პირველხარისხოვან ტექნიკას. ამოცანა ის არის, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული პროგრამის შესასრულებლად მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ ეს შესანიშნავი ტექნიკა, რომელიც უზრუნველყოფს თესვისა და მოსავლის აღების სამუშაოთა სრულ მექანიზაციას.

პარტიის მოწოდებამ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ საბჭოთა ადამიანების უდიდესი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია. ჩვენი ქვეყნის ასობით და ათასობით ტრაქტორისტი, კომბაინერი და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, სამრეწველო საწარმოთა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი მხურვალე სურვილს გამოთქვამს სამუშაოდ გაემგზავროს ახალი მიწების ათვისების რაიონში.

ამ პატრიოტული მოძრაობის ინიციატორები არიან კომკავშირელები, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობა. კომუნისტური პარტიის მოწოდებით ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად გაბედულთა და მამაცთა გზით მიდიან ლენინური კომკავშირის საუკეთესო აღზრდილნი. ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა — მოსკოვმა გულთბილი გაცილება მოუწყო ახალი მიწების ათვისების რაიონში მიმავალ ახალგაზრდა მოხალისეთა პირველ დიდ ჯგუფს. ამასთან დაკავშირებით კრემლში გაიმართა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირელთა კრება პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად. ახალგაზრდა პატრიოტებმა დიდი ვალდებულება იკისრეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე, მთელი ჩვენი ხალხის წინაშე. კრემლის დიდი სასახლის დარბაზიდან მგზნებარე მოწოდებად გაისმა ახალ მიწებზე წასული ქალაქ მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა ახალგაზრდა მუშების, მოსკოვის ოლქის სპეციალისტებისა და მექანიზატორების მიმართვის სიტყვები საბჭოთა კავშირის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისადმი:

„ჩადექით ჩვენი ახალი შრომითი ლაშქრის რიგებში! წამოდით ახალ მიწებზე!

ახალგაზრდა ტრაქტორისტებო, კომბაინერებო, მექანიკოსებო, მოფრებო, რემონტის მუშებო! სამშობლო გვანდობს ჩვენ პირველხარისხოვან მანქანებს. ახალ მიწებზე მათი უნარიანი გამოყენებით, უხვი მოსავლის მოყვანით ჩვენ ახალ წვლილს შევიტანთ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების საქმეში“.

საქართველოს ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურა ამ პატრიოტულ მოწოდებას. რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან ყოველდღე მოდის ცნობები, რომ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირელთა მაგალითისამებრ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სხვა რაიონებში წასვლის სურვილს გამოთქვამს მრავალი ახალგაზრდა პატრიოტი. რამდენიმე დღის განმავლობაში მარტო თბილისში 840-ზე მეტმა კომკავშირელმა დაწერა განცხადებანი, რომლებშიც ისინი ითხოვენ ახალი მიწების ასათვისებლად გაგზავნას. ამ დიდ სახალხო ლაშქრობაში მონაწილეობის მსურველთა შორის არიან ახალგაზრდა პატრიოტები — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირელი მჭედელი უშანგი ყიფშიძე და ხარატი შოთა ოგანეზოვი, მექვაბეები ნიკოლოზ პანჩენკო და ნიკოლოზ არზამასოვი, ორთაჭალჰესის მშენებლობის ელექტრომონტიორი ოთარ მოსაშვილი, გარეუბნის რაიონის ტრაქტორისტი ა. გამხუაშვილი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კომკავშირელი ხარატი ბ. გვენეტაძე, ზეინკალი გ. ჟღენტი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ელექტროშემდუღებელთა ბრიგადის ბრიგადირი პ. კულიკოვი და მრავალი სხვა. ეს პატრიოტული აღმავლობა ცხადყოფს ჩვენი ახალგაზრდობის ვაჟკაცურ ხასიათს, მის მტკიცე მისწრაფებას — მუდამ მზად იყოს ხალხის წინაშე თავისი მოვალეობის შესასრულებლად, ცხადყოფს სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი მის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას.

უმაგალითოდ დიდი და ფართო ასპარეზი იშლება ახალ მიწებზე თვითეული საბჭოთა ადამიანის ინიციატივისათვის, შემოქმედებითი შემართებისათვის, თავდადებული, გმირული შრომისათვის! პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია ფართოდ განუმარტონ მშრომელებს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების უდიდესი მნიშვნელობა, სათავეში ჩაუდგნენ მამაცი ადამიანების შესანიშნავ პატრიოტულ მოძრაობას.

ახალი მიწების ათვისება ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმეა. საბჭოთა ადამიანები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ეს ამოცანა წარმატებით განხორციელდება.

ახალი მიწების ასათვისებლად, ახალგაზრდა პატრიოტებო!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში

მიენიჭოს „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეს ორდენი „გმირი დედა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. ასანიძეს უმიან ხუსეინის ასულს — კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელი მახინჯაური.
2. ბაღდასარიანს ვართანუშ პეტროსის ასულს — დიასახლისს, წალკის რაიონის სოფელი ქაბული.
3. ბაბოიანს კურინაზ გურგენის ასულს — დიასახლისს, წალკის რაიონის სოფელი კუშჩი.
4. გაბრავას ლუბა პლატონის ასულს — კოლმეურნეს, ზუგდიდის რაიონის სოფელი აბასთუმანი.
5. გომციანს სარა გრიგოლის ასულს — კოლმეურნეს, ბოგდანოვკის რაიონის სოფელი ყდანოვი.
6. ჯოფუას ბაბუცა მახაზის ასულს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელი ოტაფი.
7. ზარანდიას ლიდა პორფილეს ასულს — კოლმეურნეს, ზუგდიდის რაიონის სოფელი ჯიხაშკარი.
8. კაკულიას ივლიჩკა შარვანის ასულს — კოლმეურნეს, ზუგდიდის რაიონის სოფელი დიდინეძი.
9. კაჩმაზოვას ნასტია ჩიბილის ასულს — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის სოფელი კვესელთა.
10. ქომეთიანს ბარბარე პროკოფის ასულს — მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.
11. მოსოიანს ზარუნ არუთინის ასულს — დიასახლისს, ბოგდანოვკის რაიონის სოფელი ხოჯაბეგი.
12. მორგოშიას ლიდა ბაგრის ასულს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის სოფელი არგუნია.
13. სვანიძეს ნადა დავითის ასულს — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ახალციხის რაიონი.
14. ხულორდავას ვერა ლევანის ასულს — ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, წალენჯიხის რაიონი.
15. ცხოვრებოვას ოლღა ზურაბის ასულს — კოლმეურნეს, ახმეტის რაიონის სოფელი ქვემო ხალაცანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 1 მარტი.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად

მოწინავე მაღაროები, უბნები და ადამიანები

ბიათურა. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც წარმატებით შეასრულა ინვარ-თებერვლის საწარმოო დავალებები, თავდადებით იბრძვის პირველი კვარტალის გეგმის 14 მარტისათვის შესასრულებლად. მაღალნაყოფიერად მუშაობენ გ. გაფრინდაშვილისა და შ. გამეზრდაშვილის საწარმოო უბნები, აგრეთვე მარგანეცის ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის კოლექტივი. წარჩინებული მბურღავები გ. თოდაძე, ნ. სამხარაძე, ამწენდები დ. კილაძე, ნ. თოდაძე, ვ. გაფრინდაშვილი და სხვები, რომლებიც არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების ფიტზე დგანან, ყოველდღიურ გეგმებს 150-160 პროცენტით ასრულებენ.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში მარგანეცის გამოღების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს აგრეთვე კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს კოლექტივი. ეს უბნები, რომლებსაც ლ. ღუღუნიშვილი, ვ. სიკინჭალაშვილი, შ. გაფრინდაშვილი და ბ. ბოჭორიშვილი ხელმძღვანელობენ, მარგანეცს გეგმის გადამეტებით იძლევიან.

ახალგაზრდა მქსოველების სიტყვა და საქმე

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის პირველი საქსოვი საამქროს კომკავშირელ მქსოველთა ბრიგადამ, რომელსაც დ. ველიაშვილი ხელმძღვანელობს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გაზაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩამბმისას იკისრა იანვრის, თებერვლისა და მთლიანად პირველი კვარტალის გეგმის საგრძნობი გადაჭარბებით შესრულება.

ამ ვალდებულებას ახალგაზრდა მქსოველები დიდი წარმატებით ანაღდებენ. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს იანვრის გეგმა, კიდევ მეტი გადაჭარბებით გაანაღდეს თებერვლის დავალება და პირველი ხარისხის პროდუქციას იძლევიან 90 პროცენტის რაოდენობით. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ მქსოველს ო. ლოლაძეს, ნ. ჩუბინიძეს, მ. დემენტიევას და მ. ხოშებავას, რომლებიც ყოველდღიურ ნორმებს 30-40 პროცენტის გადამეტებით ასრულებენ.

მ. დიაკონიძე.

მევაგონეთა წარმატება

ფოთი. (სპეც. კორ.). არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში საპატიო ადგილი უკავია სავაგონო დეპოს ახსნითი შეკეთების საამქროს კოლექტივს, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ოსტატი დ. ხოშტარია. ამ საამქროს ისე მოაწყო მუშაობა, რომ მინიმუმამდე შეამცირა მოცდენა, მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

საამქროს კოლექტივმა თებერვლის დავალება გადაჭარბებით გაანაღდა. საკმარისია თქვას, რომ მარტო თებერვლის ოც დღეში წლიური შეკეთებიდან გამოშვებულია 67 ვაგონი ნაცვლად 60-ისა, ვაგონების სარემონტოდ დგომა შემცირდა 1,3 საათით. ამ წარმატებებში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ზეინკლებს მ. კარპენკოს, მ. სიორდიას, დურგალს დ. პროტენკოს და მექვაბე ბ. ხოშტარიას.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიაში

გუშინ, 3 მარტს, გაიმართა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომამ მოისმინა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თელავის № 148 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ი. ხაჩიძის, ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 127 სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. შ. ჯალაღონიას და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 147 საარჩევნო ოლქის № 8 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ამხ. რ. ქელეხტის ინფორმაციები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. მათ ილაპარაკეს თუ რა მუშაობა შესრულდა, რა აღფრთოვანებით ემზადებიან ამომრჩevლები ღირსშესანიშნავი დღის — 14 მარტისათვის, რა მხურვალედ ისწრაფვიან ისინი მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანი ბლოკის კანდიდატებს.

შეაჯამა რა სხდომის შედეგები, ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. მ. კუჭავა შეეხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პრაქტიკულ ამოცანებს. (საქდესი).

★ ★

კომკავშირულად ვიმუშავებთ ყამირი მიწების ასათვისებლად

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის კომკავშირელთა მაგალითისამებრ ბათუმის საწარმო-დაწესებულებათა ბევრმა ახალგაზრდა მუშამ, მოსამსახურემ და სპეციალისტმა სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიიღოს ლაშქრობაში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. სულ რამდენიმე ღღეში კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტსა და პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებში 100-ზე მეტი განცხადება შევიდა. ამ განცხადებებში კომკავშირელები ითხოვენ გაგზავნილ იქნან ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში მონაწილეობის მისაღებად.

ბათუმის მსხვილ საწარმოებში, მათ შორის სავაგონო დეპოში, სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელ, გემთშემკეთებელ, მანქანათმშენებელ ქარხნებში და სხვა საწარმოებში შეტანილია ათობით განცხადება, რომლებშიც ახალგაზრდები გამოთქვამენ მზადყოფნას თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანის განხორციელების საქმეში. მათ შორის არის განცხადებები ახალგაზრდა მევაგონეებისა — ხარატის მიხეილ კორსუნოვისა, ზეინკლების ედუარდ ნეგოიანისა და იური ხარიტონოვისა, ტექნიკოს ლეონიდ გრონსკისა და სხვებისა, რომლებიც სავაგონო დეპოში მაღალნაყოფიერი შრომის მისაბაძ მაგალითს იძლევიან.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონში წასვლის სურვილს აცხადებენ გემთშემკეთებელი ქარხნის კომკავშირელი მღარავი გიორგი ვასაძე, მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატი ნინო კაზანცევა, ნავსადგურის კომკავშირელები ლუიზა ლომთათიძე და სერგი კვინიკაძე, რომლებიც სტახანოვურად შრომობენ და საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

მხურვალედ გამოეხმაურნენ

ბორი. (საკ. კორ.). ბევრმა გორელმა ახალგაზრდა პატრიოტმა გადაწყვიტა წავიდეს ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად ჩვენი ქვეყნის შორეულ რაიონებში.

ბამბეულის კომბინატისა და ქალაქის სხვა საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებში, აგრეთვე კომკავშირის საქალაქო კომიტეტში განუწყვეტლივ შემოდის განცხადებები, რომლებშიც გამოთქმულია კომკავშირელთა სურვილი — მონაწილეობა მიიღონ ლაშქრობაში ნასვენი და ყამირი მიწების ასათვისებლად. მათ შორის არის ბამბეულის კომბინატის მოწინავე ელექტროშემდუღებლის ნიკოლოზ კუჩეროვის, ელექტროსადგურის ხარატის გურამ უანჩაველის, შოფერ გურამ ტერტერაშვილის და ბევრი სხვა მოწინავე ახალგაზრდის განცხადებები.

ჩაღდება საქართველოს მეშახტეების სოციალისტური შეჯიბრება 1954 წლის გეგმის ვადამდე შესასრულებლად

ტყიბულელი მეშახტეების თაოსნობამ, რომ საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის საბადოთა კოლექტივებმა ფართოდ გაეჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად 1954 წელს ქვანახშირის მოპოვების დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ფართო გამოხმაურება ჰპოვა ტყვარჩელისა და ახალციხის მეშახტეებში.

ტყვარჩელის შახტების კოლექტივებმა იკისრეს: ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმა შეასრულონ 102 პროცენტით და გასულ წელთან შედარებით მიაღწიონ ქვანახშირის ამოღების 10 პროცენტით ზრდას; სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 105 პროცენტით; შრომის ნაყოფიერება გაზარდონ გეგმით გათვალისწინებულზე 3 პროცენტის გადამეტებით; ქვანახშირის ნაცრიანობა შეამცირონ 0,1 პროცენტით; მოპოვებული ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებისა და შინაგანი რესურსების გამოყენების გზით გასწიონ 500 ათასი მანეთის ეკონომია; 1954 წლის ბოლოსათვის სადღეღამისო გრაფიკით მუშაობაზე გადაიყვანონ 10 სამნაცვალი ლავი; ქვანახშირის დახრილ ფენებზე მექანიზებული დატვირთვის დონე აამაღლონ 45 პროცენტამდე, ნაცვლად შარშანდელი 38 პროცენტისა; გააძლიერონ შახტებინ აღჭურვა ახალი მექანიზმებით და მეორე შახტში დამატებით აამუშაონ ერთი კომბაინი „დონბასი“ და ერთი კომბაინი „გორნიაკი“, ამავე შახტში აამუშაონ ახალი მომხვეტი ტრანსპორტიორები და ორი ახალი ქანობსატვირთავი მანქანა; აუმაღლონ კვალიფიკაცია 1.200 მუშას, მასობრივად დანერგონ მოწინავეთა გამოცდილება და წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადასცენ 8.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ტყიბულელთა მოწოდების საპასუხოდ გადიდებულ საწარმოო ვალდებულებათა შესრულება იკისრეს ახალციხელმა მეშახტეებმაც: 1954 წლის გეგმა შეასრულონ კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის და უზრუნველყონ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმის 110 პროცენტით განაღდება; წელს მეშახტეთა საშუალო შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 12 პროცენტით, ქვანახშირის ნაცრიანობა შეამცირონ 0,5 პროცენტით; თვითღირებულების შემცირებისა და შინაგანი რესურსების ამოქმედების სამშობლოს მისცენ 250 ათასი მანეთი ეკონომია; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, შრომის გაუმჯობესებული მეთოდების მასობრივად გავრცელებას და უზრუნველყონ წელს ორი ლავის გადაყვანა ციკლური მუშაობის გრაფიკზე; აუმაღლონ კვალიფიკაცია 150 ახალგაზრდა მეშახტეს, დაამთავრონ საცხოვრებელი სახლების აგება და მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა 2.000 კვადრატული მეტრი ფართობის რაოდენობით.



ქუთაისი. ორი წლის წინათ დაიწყო ახალი ქუჩის — ლენინის პროსპექტის მშენებლობა სადგურის მოედნიდან ავტოქარხნისაკენ. სურათზე: ლენინის პროსპექტი. მარჯვნივ აბრეშუმკომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

მწყემსების კულტურული მომსახურება

რადიოკავშირი მეცხოველეობის ფერმასთან

თელავი. (საკ. კორ.). თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა კურდღლაურის ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი საქონლის ფერმაში დადგა რადიოსადგური „ურალი“. მტს-ის აგრონომ-დისპეტჩერი ნაზი ჯავახიშვილი ყოველდღიურად იღებს ცნობებს ფერმიდან პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობის, ნამატის მიღების, წველადობის მატებისა და სხვ. შესახებ. მტს-ის სპეციალისტები ფერმის მუშაკებს „ურალით“ აძლევენ სასურაფო მითითებებსა და რჩევას.

მოძრავი ბიბლიოთეკები მწყემსებისათვის

სიღნაღი. (საკ. კორ.). რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკები დიდ დახმარებას უწევენ მეცხოველეობის ფერმების მუშაკებს, სისტემატურად ამარაგებენ მწყემსებს ახალი წიგნებით. ამ დღეებში სოფელ ანაგის, ულიანოვკის, მაღაროს, ბოდბის, დაბა წნორის და სხვა სოფლების ბიბლიოთეკებიდან მეცხოველეობის ფერმებში გაიგზავნა მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ბროშურები და ჟურნალები.

კინოსეანსები საზამთრო საძოვრებზე

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ სტავროპოლის მხარის საზამთრო საძოვრებზე, სადაც რაიონის კოლმეურნეობების ასი ათას სულზე მეტი ცხვარი იზამთრებს, მწყემსების კულტურული მომსახურების მიზნით გაგზავნა მოძრავი კინოდანადგარი. ზემო და ქვემო ალვანის, ოყთის, ხორხლის, მთათუშეთისა და სხვა კოლმეურნეობათა მწყემსებისათვის უკვე მოეწყო 60-ზე მეტი კინოსეანსი. მათ ნახეს კინოსურათები „ახალგაზრდა გვარდია“, „თქმულება ნამდვილ ადამიანზე“, „დიადი განთიადი“, „გიორგი საკაძე“ „ქეთო და კოტე“ და სხვ.

სათადარიგო ნაწილები საფეიქრო მრეწველობისათვის

რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობას სათადარიგო ნაწილებით ამარაგებს საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს მანქანის ნაწილების ქარხანა. მისი თუჯისა და ბრინჯაოს ჩამოსასხმელი, ხის დამამუშავებელი და სხვა საამქროები ამზადებენ აბრეშუმის საქსოვი და ძაფსახვევი დაზგების მაქოებს, მასრებს, კოჭებს, კბილანებს, ლილვებს, საყელურებს, საკისრებს და სხვ., სულ 500-მდე სახელწოდების სხვადასხვა ნაწილსა და დეტალს. შარშან ქარხანამ დაამზადა 2.525.600 მანეთის პროდუქცია, ხოლო წელს 2.700 ათასზე მეტი მანეთის ნაწილსა და დეტალს გამოუშვებს.

ქარხანა სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად შეკვეთებს იღებს მოძმე რესპუბლიკების აბრეშუმის ძაფსაღები და საქსოვი ფაბრიკებიდანაც. გასულ წელს აზერბაიჯანისა და სომხეთის საფეიქრო მრეწველობისათვის შეკვეთით დაამზადა 31 სხვადასხვა სახის 110 ათასი მანეთის თუჯის, ბრინჯაოს და ხის სათადარიგო ნაწილები.

წელს აქ აითვისებენ დაწნეხილი ხის მასალისაგან მაუდის საქსოვი ახალი მაქოების დამზადებას.

201.000 მანეთი პრემია მოწინავე მევენახეებს

ყვარელი. (საკ. კორ.). ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ყოველწლიურად ზრდის ყურძნის მოსავლიანობას. გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე 48 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღოთ, ფაქტიურად 79 ცენტნერი მიიღეს.

მეურნეობაში ბევრია მოწინავე მევენახე. ყურძნის მოსავლიანობის გეგმის დიდი გადამეტებით შესრულებისათვის მათ 201.000 მანეთი პრემია მიიღეს. მესამე აგროუბანმა 171 პროცენტით შეასრულა ყურძნის მოყვანის დავალება. აგროუბნის ხელმძღვანელს მამია სანადირაძეს 3.054 მანეთი პრემია მიეცა. მერგოლურმა დ. დავითაშვილმა პრემიად 2.205 მანეთი მიიღო. მუშებს ა. ყარაულაშვილს, ი. ქართველიშვილს, ს. ოგანესიანს და სხვებს ორ-ორი ათას მანეთზე მეტი პრემია ერგოთ.

მოწინავე მევენახეები წელს უფრო მეტი მოსავლისათვის იბრძვიან.

ახალი საუბნო საავადმყოფო

ასპინძის რაიონის სოფელ ნაქალაქევის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს. აქ გაიხსნა ათასაწოლიანი საუბნო საავადმყოფო.

საავადმყოფო მოთავსებულია სპეციალურ კეთილმოწყობილ შენობაში, დაკომპლექტებულია სათანადო სამედიცინო პერსონალით, უზრუნველყოფილია ინვენტარით და თეთრეულით.

ა. გოცაძე.

ახალგაზრდობის მთელი ძალები—სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ახალი დიდი ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესრულებისათვის ბრძოლაში ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა. ათობით კომკავშირელი წავიდა გარეუბნის რაიონიდან მეცხოველეობის ფერმებში და მტს-ებში სამუშაოდ. ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირელთა მაგალითისამებრ თბილისის საწარმოებში მომუშავე ბევრმა კომკავშირელმა სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიიღოს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების დიად საქმეში.

„დიდი სიხარულით წავიკითხე გაზეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ამომრჩევლისადმი. პარტია მოგვიწოდებს მონაწილეობა მივიღოთ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში. მე კომკავშირელი ვარ, სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესრულების დიად საქმეში“, — წერს მანქანათმშენებელი ქარხნის კომკავშირელი ზეინკალი ა. სირკისი. ეს მრავალთაგან ერთი მაგალითია კომკავშირელების მზადყოფნისა — პირნათლად შეასრულონ პარტიის და მთავრობის ყოველი დავალება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესრულების საქმეში დედაქალაქის ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხს მიეძღვნა თბილისის კომკავშირის აქტივის კრება. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მოიყვანეს დედაქალაქის ახალგაზრდობის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის მრავალი მაგალითი. საწარმოებში, კოლმეურნეობებში მომუშავე კომკავშირელები სექტემბრის პლენუმის დადგენილებას საქმით, კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტით უპასუხებენ. აღსანიშნავია გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელების ინიციატივა. მათ შექმნეს მებოსტნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომლის წევრები მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებენ მინდობილ საქმეს.

მაგრამ, როგორც აქტივის მონაწილეებმა აღნიშნეს, გაწეული მუშაობა მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი საქმიანობისა, რომელიც უნდა შეასრულოს თბილისის კომკავშირულმა ორგანიზაციამ. სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, რომლებიც ამხილა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმმა, მთლიანად და სავსებით შეეხება თბილისის კომკავშირის ორგანიზაციასაც.

მომხსენებელმა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. სირაძემ და კომკავშირის გარეუბნის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. სიბაშვილმა აღნიშნეს, რომ ახალგაზრდობაში გაშლილი არ არის სწორი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და შინაკომკავშირული მუშაობა. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა, მათ შორის კომკავშირელიც, გაურბის საკოლმეურნეო შრომას. გარეუბნის რაიონში 160 კომკავშირელი, რომლებსაც საშუალო და არასრული საშუალო განათლება აქვთ, არავითარ სასარგებლო საქმიანობას არ ეწევა. რიგ კომკავშირის ორგანიზაციებს არ აწუხებთ ის მდგომარეობა, რომ რაიონში წლითიწლობით არ სრულდება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გეგმა, მეცხოველეობისათვის შექმნილი არ არის მტკიცე საკვები ბაზა, ნაკლები ყურადღება ექცევა მებოსტნეობის განვითარებაში მექანიზაციის დანერგვას, გარეუბნის რაიონში ცუდ პირობებში ძუძაობენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლა და ტექნიკუმი.

მართალია, დედაქალაქის ყველა საწარმოში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის დაკვეთების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, საწარმოებმა აიღეს შეფობა კოლმეურნეობებზე, მტს-ებზე, საბჭოთა მეურნეობებზე, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში ეს შეფობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. თავიანთ შეფებს ცუდად ეხმარებიან ქარხანა „დაზგის“, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“, „გლავობუვის“ ფეხსაცმლის ფაბრიკის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომკავშირელები.

ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. მიგრიაულმა აქტივის მონაწილეებს მოუთხრო მოსკოვის ოლქის სოფელ ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის საქმიანობის შესახებ. ჩვენ, — თქვა მან, — ვცდილობთ ისე მოვაწყოთ მეცხოველეობის ფერმები და დასამუშავებელი ნაკვეთები, როგორც ეს ტიმონინოელ მეგობრებს აქვთ. ამხ. მიგრიაულმა დედაქალაქის კომკავშირელებს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ გარეუბნის რაიონში ყამირი მიწების ათვისებაში.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ამხ. ლ. გაბუნიამ ილაპარაკა ზამთრის სესიების შედეგად სტუდენტთა აკადემიური წარმატების ზრდაზე. მაგრამ, — თქვა მან, — კიდევ უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა, რომ ხელს არ გვიშლიდეს მთელი რიგი მიზეზები. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ წამყვან დისციპლინაში არა გვაქვს სახელმძღვანელო, ცუდად არის მოწყობილი სასწავლო ლაბორატორიები, მოუგვარებელია სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის საქმე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სოფელ კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. ბეგოიანმა, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. აგლაძემ და სხვებმა.

აქტივის კრებამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

თბილისი. თამბაქოს მეორე ფაბრიკაში. **ხურათზე:** საპილზე მანქანაზე მომუშავე სტახანოველი ქალი რ. სიმონიანი, რომელიც დავალებებს სისტემატურად 120 პროცენტით ასრულებს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

გარდამავალი დროშები მოწინავე საწარმოებს

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკას — პირველი ადგილი

1953 წლის მეოთხე კვარტალში მაღალნაყოფიერი მუშაობისა და საწარმოო გეგმის სანმოუშო მაჩვენებლებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართველოს თამბაქოს ტრესტის სამმართველომ თამბაქოს ფაბრიკების კოლექტივებს შორის გამარჯვებულად აღიარეს თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც მიეკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა და პირველი რესპუბლიკური ადგილი.

სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრის ბრძანებით აღნიშნულია, რომ თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკამ 1953 წლის მეოთხე კვარტალში კარგად იმუშავა.

სამტრესტის სისტემაში პირველი

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ 1953 წლის მეოთხე კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარეს და გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნეს სამტრესტის კონიაკარყის მეოთხე ქარხნის კოლექტივს.

1 მარტს გარდამავალი დროშა ქარხნის კოლექტივს საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ გ. ჯომარჯოძემ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივმა იკისრა არჩევნების დღისათვის — 14 მარტისათვის უზრუნველყოს პირველი კვარტალის გეგმის შესრულება.

სერიოზული ნაკლოვანებანი საზამთრო საძოვრებზე

ერთგული ინფორმაცია

აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკაში, მდინარეების მტკვარსა და არაქსს შუა თვალუწვდენი ველია გადაშლილი. აქ თელავის რაიონის კოლმეურნეობების კუთვნილი 40.000 სულზე მეტი ცხვარი ზამთრობს. წელს მკაცრი ზამთრის გამო ბალახი არ ამოვიდა. ამიტომ იყო, რომ მწყემსებს ცხვრის გადასარჩენად დიდი შრომა დასჭირდათ. ზამთხულში მომარაგებული და ზამთარში დამატებით მიტანილი თივა და კონცენტრირებული საკვები მეცხვარეთა უმრავლესობამ კარგად გამოიყენა. ცხვრის მოვლა-პატრონობა გააუმჯობესეს.

მეცხვარეობაში პასუხსაგები პერიოდი დადგა. დოლი გაჩაღდა. რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ ფერმაში უკვე 600 ცხვარი დადოლდა. მიღებული 607 ბატკანი მთლიანად შენარჩუნებულია. ეს წარმატება უწინარეს ყოვლისა იმან უზრუნველყო, რომ კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ს. ძამუკაშვილი) დიდძალი საკვები შეზიდა საზამთრო საძოვრებზე. საკვების ნაწილი მეზობელ კოლმეურნეობებსაც კი ასესხეს. ცხვრისათვის საიმედო ბინები მოაწყეს.

მეცხვარეობის ფერმის (გამგე ამხ. ს. როსტომაშვილი) მუშაკები გაორკეცებული ენერგიით შრომობენ. ფერმის პირველი ბრიგადის მწყემსი ზაქარია მარგალიტაშვილი მოსაგებ ცხვარს პატრონობს. იგი გამოცდილი და მცოდნე მუშაკია. დილით საძოვარზე გარეკვის წინ ცხვრებს ათვალიერებს, არკვევს იმ დღეს რომელი მოიგებს, და მათ სამშობიაროში ათავსებს. თუ ზუსტად ვერ განსაზღვრა — მოსაგები ცხვარი მინდორში გარეკა და იქ დადოლდა, ბატკანს სწრაფად მიარბენინებს ბინაში, გაათბობს, გააშრობს და დედის ძუძუს აწოვებინებს. მარგალიტაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დედაცხვრის კვებას. მაკე და დადოლებულ ცხვრებს თივას, ქერს და ქატოს აძლევს. გამოცდილ მეცხვარეს დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა მწყემსი გივი შაშიაშვილი. იგი დღე და ღამე ცხვართან არის. ძალიან სწრაფი, მოქნილი მუშაკია.

ბატკანს განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდება. ეს საქმე თვითონ ბრიგადირს ანდრია ხანჯალიაშვილს უთავებია. დაბადებისთანავე ბატკანს აცლის ლორწოს, პირველ რიგში პირიდან, რომ ჰაერი ჩაისუნთქოს და არ დაიხრჩოს. შემდეგ ბატკანს დედას დაუწვენს, რომ გალოკოს და შეიჩვიოს, მოწოვებას არ აგვიანებს, რადგან ხსენი რძე ბატკანს კუჭს უსუფთავებს. მოგების პირველ დღეს ბატკანს ორ-სამჯერ აწოვებს.

დილა-საღამოს წოვების დროს ასობით დედაცხვარი და ბატკანი ერთმანეთში ერევა. ყველა ბღავის, ბატკნები დედებს ეძებენ, დედები — ბატკნებს, ზოგი პოულობს, ზოგი ვერა, ამ შეთხვევაში მცნობია საჭირო. მან შეუცდომლად უნდა გამოიცნოს, რომელი ბატკანი რომელი ცხვრისაა. ხანჯალიაშვილი ამ საქმეს შესანიშნავად დაუფლებია. ერთი თვალის გადავლებით იცნობს ყველა ბატკანს, რამდენიმე წუთი და ბაკში ბღავილი წყდება, ყველა ცხვარს თავისი შვილი წოვს.

ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის 4.150 სულ ცხვარს 36 კაცი პატრონობს. ყველა ცდილობს, რომ ცხვრის ფარებს არც ერთი სული არ დააკლდეს, ბატკნები არ დაიხოცონ. მეცხვარეობის პირველ ბრიგადას იოსებ გოგოშვილი ხელმძღვანელობს. მის ფარას უკვე 250 ბატკანი შეემატა. მწყემსების ს. კობიაშვილისა და კ. მარგალიტაშვილის უნარიან მუშობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ დღემდე არც ერთი ბატკანი არ მომკვდარა.

კისისხევის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ნასყიდა აზნიაშვილი 61 წლისაა, 20 წელია ცხვარში მუშაობს. კისისხეველი კოლმეურნეები მისი მუდამ კმაყოფილი არიან. ფერმაში საკვები არ აკლიათ, 1.700 სულ ცხვარს უდანაკლოდ აზამთრებენ. 400 ცხვარი უკვე დადოლდა. მიღებული 409 ბატკნიდან მწყემსებისაგან დამოუკიდებელი მიზეზით მხოლოდ სამი მოუკვდათ. აზნიაშვილმა მოწინავე მეცხვარეთა შორის პირველ რიგში დაასახელა ბრიგადირები დ. დაოელიშვილი და დ. მეზვრიშვილი, მწყემსები გ. გოცირიძე, ი. ბაღათრიშვილი, ი. ბოჭორიძე.

შალაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმას დიდი ხანია ივანე გრიშიკაშვილი ხელმძღვანელობს. პირველად ფერმაში 300 სულზე მეტი ცხვარი არ ჰყავდათ, ახლა კი 1.700 სულს გადაამეტეს. 1.100 სული დედაცხვრიდან უკვე 400 დადოლდა. ყველაზე უკეთესად დოლი ა. არუთინოვის ბრიგადაში მიმდინარეობს. ამ ბრიგადის მწყემსი ბაგრატ წოგნაძე საუკეთესო მეცხვარედ ითვლება.

არის დაუდევრობის, უპასუხისმგებლობის ფაქტებიც. კონდოლის მეცხვარეობის ფერმის გამგე ვ. ნაწიფამვილი ხშირად მწყემსების ანაბარად ტოვებს ცხვარს და საატლში ან კარადოხში მიემგზავრება „საქმეზე“. იქ 2-3 დღეს რჩება და ლოთობაში ატარებს დროს. ეს იმ დროს, როცა ფერმაში არა აქვს თივა, ქატო, ქერი და სხვ. მოუვლელობისა და უდარდელობის შედეგად აქ წელს 60-ზე მეტი სული ცხვარი მოუკვდათ, ორასი სული თოხლი დაჯანდაგებულია. დაეცა ოცამდე ბატკანი. ოცი დღის განმავლობაში ხარებისათვის, რომელებსაც წყლის მოსატანად და პროდუქტების გადასაზიდად იყენებენ, თივა არ უქმევიათ. ჯუღაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ქოჩიშვილმა, მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, საძოვრებზე საკმარისი რაოდენობით არ მიტანა საკვები. ამის შედეგია ის, რომ წელს მოკვდა 40 დედაცხვარი, სამასი სული კი დაჯანდაგებულია. 115 სული ბატკნიდან 45 მოუკვდათ.

ასეთივე ცუდი მდგომარეობაა ნაფარეულის, ართანის, თეთრწყლების, ყარაჯალისა და ლეჩხრის კოლმეურნეობების მეცხვარეობის ფერმებში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თელავის რაიონის კოლმეურნეობათა მეცხვარეობის ფერმების მომსახურებისათვის საატლში მოწყობილი აქვს მუდმივი მომთაბარე ვეტპუნქტი. მისი გამგე ვეტექიმი დიმიტრი ჩოხელი და ვეტფერმლები ე. ფარეშიშვილი და შ. გურგენაშვილი ენერგიულად მუშაობენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზამთრის საძოვრების სამმართველო აზერბაიჯანში სათანადოდ ეხმარება მეცხვარეებს. სამმართველოში გვიამბეს, რომ თეთრი წყაროს, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები ცუდად მოემზადნენ ცხვრის გამოზამთრებისათვის. ამის შედეგია, რომ ადგილი აქვს ცხვრის დიდი რაოდენობით სიკვდილს. სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობას ცხვრის 32 პროცენტი გაუწყდა. ასეთივე მდგომარეობაა ამავე რაიონის ნუკრიანის, წითელწყაროს რაიონის ზემოქედისა და სხვა კოლმეურნეობების ფერმებში. თეთრი წყაროს რაიონის საფუძრების კოლმეურნეობას ცხვრის ფარები გაუნახევრდა. ამ რაიონის ხელმძღვანელობა უყურადღებობას იჩენს მეცხვარეობის ფერმებისადმი.

საატლში ცხვრისათვის დიდძალი თივა, ქატო და სხვა სანის საკვები შეეტანა. სამმართველო მას დროულად ანაწილებს რაიონების მიხედვით, მაგრამ ზოგჯერ მის ადგილზე მიზიდვას კოლმეურნეობები აჭიანურებენ. 24 თებერვალს სამმართველომ სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებს 40 ტონა თივა მისცა, მაგრამ ხუთი დღის განმავლობაში მისი წაღება ვერ მოახერხეს. ეს იმ დროს, როცა საძოვრებზე ცხვარი შიმშილობს.

ცოტა რამ ცეკავშირის შესახებ. ამას წინათ საატლში მოვიდა ცეკავშირის მიერ გამოგზავნილი 60 ტონა თივა. იგი სწრაფად გაანაწილეს. ზოგმა კოლმეურნეობამ წაიღო კიდეც, მაგრამ არც ცხვარმა და არც სხვა პირუტყვმა მას პირი არ დააკარა. ბოლოს გამოირკვა, რომ ეს თივა შესაფუთავად ყოფილა დამზადებული და არა საკვებად. ცეკავშირის მუშაკებმა რატომ არ იციან, რომ საზამთრო საძოვრებზე შესაფუთავი არაფერია? თბილისის გარეუბნის რაიკოოპკავშირს საატლში გაუხსნილი აქვს მაღაზია. იგი დამაკმაყოფილებლად მოაგდება. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ გამყიდველი უშანგი გოგორიშვილი გათავხედებულია. 25 თებერვალს იგი ცხვრისათვის განკუთვნილ ქატოს გარეშე პირებზე ჰყიდდა. არ ერიდება მითვისებასაც. მან განაცხადა, ყოველ ტონა თივაზე 12 კილოგრამი ჩემიაო.

მწყემსების მომსახურებაშიც დიდი ნაკლოვანებანია. ბინებში არა აქვთ რადიომიმღებები. 5 თვის განავლობაში მწყემსები ახალ ამბებს ვერ იგებენ. კოლმეურნეობებს შეუძლიათ რადიომიმღებების შეძენა, მაგრამ ცეკავშირი არ გზავნის. მიზეზად ბატარიების უქონლობას ასახელებენ. მწყემსები უსაყვედურებენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს იმისათვის, რომ არცერთხელ არ უჩვენებიათ კინოსურათი.

საჭიროა მწყემსთა ეს სამართლიანი მოთხოვნები დაკმაყოფილდეს. საზამთრო საძოვრებზე უნდა უზრუნველყოთ ნამატის მთლიანად შენარჩუნება, ცხვრის სანიმუშოდ გამოზამთრება.

ს. ძოწილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.
საატლი, აზერბაიჯანის სსრ
მარტი.

სსრ კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოს დიადი ნიმუშია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო ერთსულოვნად დარაზმული კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი უდიდესი წარმატებებითა და აღფრთოვანებით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. კაცობრობის ისტორიამ არ იცის ისეთი ერთსულოვნება და მოქმედების ერთიანობა, ხალხთა ისეთი მტკიცე თანამეგობრობა, როგორიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელების მეოხებით შეიქმნა ჩვენს მრავალეროვან სსრ კავშირში.

საბჭოთა კავშირი მუშათა და გლეხთა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოა. ჩვენი ქვეყნის ხალხები ლაპარაკობენ ასზე მეტ სხვადასხვა ენაზე. რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, უზბეკები, ყაზახები, თურქმენები, ყირგიზები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, კარელები, მოლდაველები და სხვა ერები, ეროვნული ჯგუფები და ეროვნებანი ცხოვრობენ და შემოქმედებითს შრომას ეწევიან თავიანთი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელობით შექმნილ და განუყრელად შემეცდროებულ თავისუფალ ხალხთა ძმურ ოჯახში.

ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობა ჩვენი სახელმწიფოს ძალისა და უძლეველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაუშრეტელი წყაროა. ეს მეგობრობა სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს სიმტკიცისა და ძლიერების საფუძველთა საფუძველი და მომმე საბჭოთა ხალხების წარმატებათა უმთავრესი პირობაა.

* * *

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სიმტკიცის ერთ-ერთი საფუძველი ის არის, რომ მას ღრმად აქვს გადგმული ფესვები შორეულ წარსულში. სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მეგობრობა ჩაიხახა და ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე. რუსი ხალხი ყველაზე მეტად გამოიწრთო, განმტკიცდა და ეროვნულ ძალად იქცა ხანგრძლივ ისტორიულ ბრძოლებში თურქთა და მონღოლთა ურდოების, გერმანელი ჯოგაკი რაინდებისა და პოლონელი პანების, ნაპოლეონის არმიისა და სხვა დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლებში. ამიტომ დიდი რუსი ხალხის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებასთან რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების დაკავშირებას თავიდანვე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომში ჩვენი ქვეყნის ხალხთა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან რევოლუციური განთავისუფლებისათვის. აი რატომ გადაიქცა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ზეიმი საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და ხალხთა ურღვევი მეგობრობის ახალ, მძლავრ დემონსტრაციად.

XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრის რუსეთში გადმონაცვლებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდ რუს ხალხთან ერთად არაერუსი ხალხების დიადი მომავლის მისაღწევად. იმპერიალიზმის ეპოქაში პროლეტარული რევოლუცია უშუალოდ პრაქტიკის საკითხად იქცა. კლასობრივი ბრძოლისა და ეროვნული ურთიერთობის ახალ პირობებში რუსეთი წარმოადგენდა იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა უდიდეს საკვანძო პუნქტს და ყველაზე უფრო სუსტ რგოლს კაპიტალიზმის ფრონტის ჯაჭვში. რუსეთში აღმოჩნდა რევოლუციის გამარჯვების რეალური ძალა — მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური პროლეტარიატის სახით. შეიქმნა მუშათა კლასის ძლევამოსილი ავანგარდი კომუნისტური პარტია, აღმოჩნდა საიმედო მოკავშირე — რუსეთის რევოლუციური გლეხობა. სწორედ რუსეთი გახდა ლენინიზმის — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმის, სამშობლო. ლენინიზმმა, რომელიც მსოფლიო კულტურის უმაღლეს მიღწევას წარმოადგენს, არა მარტო ჩვენი ქვეყნის ხალხებს, არამედ ყველა ქვეყნის მშრომელებს მისცა უძლეველი იარაღი კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში ძირეული ცვლილებები მოხდა როგორც სოციალური, ისე ეროვნული ურთიერთობის დარგში. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა სრულიად ახალი ტიპის კლასებია, რომელთა მსგავსი კაცობრიობის ისტორიამ არ იცის. ასევე საბჭოთა ინტელიგენცია წარმოადგენს სრულიად ახალ სოციალურ ჯგუფს. ერთა შორის შუდლისა და ბრძოლის ორგანიზატორების — ექსპლოატატორული კლასებისა და მათი ნაციონალისტური პარტიების მოსპობისა და სოციალიზმის გამარჯვების შედეგად სსრ კავშირში ჩამოყალიბდნენ და განვითარდნენ სოციალისტური ერები. სოციალისტური ერების თანამეგობრობა ხალხთა მეგობრობის უმაღლესი ფორმაა. ისეთი მტკიცე და ურღვევი მეგობრობა, როგორიც სოციალისტური ერების ლენინურ-სტალინური თანამეგობრობაა, კაცობრიობის ისტორიაში წინათ არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის გამარჯვებამ, კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებამ, ხალხთა ძმურმა, გულწრფელმა ურთიერთდახმარებამ უზრუნველყო ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოკრუგების სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობა, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით მოკავშირე რესპუბლიკების სოციალისტური მრეწველობა აზრდებოდა გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე რუსეთისა და საერთოდ სსრ კავშირის მრეწველობა. მაგალითად, მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია საშუალოდ 1913 წელთან შედარებით 1940 წელს გაიზარდა მთელ საბჭოთა კავშირში საშუალოდ 10,9-ჯერ, უკბეზეთის სსრ რესპუბლიკაში — 22,2-ჯერ, სომხეთის სსრ — 22,3-ჯერ, საქართველოს სსრ — 26,4-ჯერ, ყირგიზეთის სსრ — 160-ჯერ, ტაჯიკეთის სსრ — 242-ჯერ.

სსრ კავშირის ხალხთა კულტურის აყვავების მაჩვენებელია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და საშუალო და უმაღლესი განათლების გავრცელება მთელ ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში 1914 წელთან შედარებით გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა: თურქმენეთში — 32-ჯერ, ყირგიზეთში — 44-ჯერ, უზბეკეთში — 68-ჯერ, ტაჯიკეთში — 660-ჯერ. საბჭოთა საქართველომ სკოლების ქსელისა და მოსწავლეთა რიცხვის ზრდის მხრივ ჯერ კიდევ ომამდელ წლებში გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას. 1939 წელს ყოველ ათას მოსახლეზე საერთო საგანმანათლებლო სკოლებში იყო: საქართველოში — 223 მოსწავლე, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 211, ინგლისში — 157, საფრანგეთში — 131. საბჭოთა უზბეკეთში 2-ჯერ მეტი უმაღლესი სასწავლებელია, ვიდრე ერთად აღებულ თურქეთსა, ირანსა და ავღანეთში. საბჭოთა საქართველოში ყოველ 10 ათას მოსახლეზე უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 112 კაცი, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 60, საფრანგეთში — 37, დანიაში — 34, იტალიაში — 32, შვეიცარიაში — 21, ეგვიპტესა და თურქეთში — 12, ინდოეთში — 9 კაცი.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად მრავალეროვანი სსრ კავშირი იქცა მთელ მსოფლიოში ყველაზე მძლავრ სახელმწიფოდ. მეორე მსოფლიო ომიდან კიდევ უფრო გაძლიერებული და განმტკიცებული გამოვიდა ჩვენი ქვეყანა. მან მოკლე დროში აღადგინა სახალხო მეურნეობა და წარმატებით გააჩაღა კომუნიზმის მშენებლობა. ამით ცხადყო თავისი უძლეველობა.

სოციალისტური ერების ძმური თანამეგობრობა წარმოადგენდა დიდ ხელშემწყობ ძალას ფაშისტური გერმანიის ოკუპაციის შედეგად დანგრეული უკრაინის, ბელორუსიის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში. საბჭოთა უკრაინამ ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლებით უკვე გაუსწრო საფრანგეთს, იტალიას და ეგვიპტის მთელ რიგ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს. 1952 წელს უკრაინის მსხვილი მრეწველობის პროდუქციამ 17-ჯერ გადააჭარბა რევოლუციამდელ დონეს, ხოლო ლითონის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია დაახლოებით 69-ჯერ გაიზარდა. 1952 წლის დასაწყისისათვის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდა ლიტვის სს რესპუბლიკაში 2,4-ჯერ, ლატვიის სსრ — 3,6-ჯერ, ესტონეთის სსრ — 4,1-ჯერ. განუხრელ აღმავლობას განიცდის სსრ კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა და კულტურა.

დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის სოციალისტური მრეწველობა გამდიდრდა ახალი მეტალურგიული, მანქანათმშენებელი და მრავალი სხვა სახის საწარმოებით. ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ისტორია საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობის მკაფიო მაგალითია. მოსკოვისა და ურალის, ლენინგრადისა და ხარკოვის მანქანათმშენებლებმა, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ქარხნების მუშაკებმა ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინეს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლებს. ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიოდნენ ლითონით, მანქანებითა და მრეწველობის მოწყობილობით დატვირთული ეშელონები. მოსკოვის, მაგნიტოგორსკის, სტალინის, მაკეევკისა და სხვა ქარხნები რუსეთსა და უკრაინაში ამზადებდნენ ქართველ მეტალურგთა კადრებს. მეტალურგიული გიგანტი ომისშემდგომ პერიოდში ბანოცარ მოკლე ვადაში აიგო. 1950 წლის 27 აპრილს უკვე მიღებულ იქნა პირველი ფოლადი. ასეთი ქარხნის აშენებას და მისთვის საკუთარი მეტალურგიული კადრების შექმნას კაპიტალისტურ ქვეყნებში ათეული წელი დასჭირდებოდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიისა და ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი, პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებანი ითვალისწინებენ ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოკრუგების სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ მკვეთრ აღმავლობას. ეს გადაწყვეტილებანი ახალი ძალით განსახიერებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკისა და ხალხთა მეგობრობის დიად პრინციპებს.

საბჭოთა ხალხმა გადაჭარბებით შეასრულა მეხუთე ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო გეგმა. სსრ კავშირის მრეწველობაში მთლიანად 1953 წლის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია გასულ წელს 1952 წელთან შედარებით გაიზარდა 12 პროცენტით, ხოლო 1950 წელთან შედარებით — 45 პროცენტით.

სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში 1953 წელს ნათესი ფართობი 1952 წელთან შედარებით გადიდდა 1.400.000 ჰექტარით, ყველაზე ძვირფასი მარცვლეულის — ხორბლის ნათესები — 2 მილიონი ჰექტარით. გაფართოვდა ზაქრის ჭარხლის, ზეთოვანი კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და სხვა კულტურების ფართობები. განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა აფხაზეთი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ



სოხუმი. არქიტექტურული კიბე ქუთაისის ქუჩის ბოლოში, რომელიც აერთებს ქალაქ სოხუმს კლინიკურ სანატორიუმთან.

არჩევნებიმ ალსანიშნავად

ამჟამად, როცა მთელი საბჭოთა ხალხი წარმატებით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ასორტიმენტის გაფართოებისათვის.

კომბინატის კოლექტივი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკასთან და ტყავის ქარხანასთან. გაჩაღებულია ფართო მუშაობა ნაკასრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

ამჟამად პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის იბრძვიან არა მარტო ერთეული სტახანოველები, არამედ ბრიგადები, ცვლები და საამქროები. წინათ მთელ კომბინატში საუკეთესო ხარისხის პროდუქციას მხოლოდ სამი ბრიგადა იძლეოდა. ახლა 10 ასეთი ბრიგადაა, რომლებშიც 59 მოწინავე სტახანოველია გაერთიანებული. საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადებმა, რომლებსაც აშხანაგები ო. ძიგუა და კ. ვორონინი ხელმძღვანელობენ, წელს მიიღეს სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს სიგელი.

სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მთელი კოლექტივი აღსავსეა გადაწყვეტილებით კიდევ უფრო გაუმჯობესოს წარმოების ტექნოლოგია, შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, გადაჭრით ამაღლოს ხარისხი და საბჭოთა მომხმარებელს მიაწოდოს ლამაზი, მკვიდრი და იაფი ფეხსაცმელი.

ვ. ჩიქოვანი,
სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის პარტბიუროს მდივანი.

აგიტმხატვრული ბრიგადა ამომრჩევლებთან

დიდი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობაა გაჩაღებული სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებში. აგიტპუნქტებში, საარჩევნო უბნებში მოდიან ამომრჩეველები, რომ მოისმინონ საინტერესო ლექცია, მოხსენება, საუბარი.

ამომრჩეველთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვან ღონისძიებას აწყობს სოხუმის რაიონის კულტურის სახლი. ამ სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა (ხელმძღვანელი კ. ყურაშვილი) სისტემატურად დადის კოლმეურნეობებში, მართავს ლექციებ-საუბრებს, ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო თვითმოქმედ წრეებს, კლუბებში აწყობს წარმოდგენებს.

ამას წინათ აგიტბრიგადამ სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში გამართა კონცერტი. ამომრჩევლებზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა სიმღერებმა საშობლოზე, სოციალისტური შრომის გმირებზე, მშვიდობაზე, რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე. აგიტბრიგადამ ასეთივე საღამო მოაწყო ბესლეთისა და კელასურში...

სოხუმის რაიონის კულტურის სახლთან დიდი ხანია ჩამოყალიბებულია სიმხატვრო ინსტრუმენტალური ანსამბლი (ხელმძღვანელი გ. შაშიკიანი). ეს ანსამბლი დიდი წარმატებით სარგებლობს რაიონის კოლმეურნე გლეხობაში.

კულტურის სახლმა არჩევნებთან დაკავშირებით მოაწყო რაიონში მოპოვებულ წარმატებათა ფოტოგამოფენა. სამკითხველო დარბაზში ბევრია საარჩევნო ლიტერატურა და ეურნალ-გაზეთები.

ვაგონ-კლუბი

რკინიგზის სოხუმის სადგურში ამას წინათ ჩამოდგა რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ვაგონ-კლუბი. მისი დანიშნულებაა მოემსახუროს ამომრჩეველს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში.

ვაგონ-კლუბი, რომელიც მომარაგებულია დიდძალი ლიტერატურითა და ეურნალ-გაზეთებით, ემსახურება რკინიგზის ეშერის, ახალი აფონის, გუდაუთის, განთიადის, ქვეზანისა და სხვა სადგურებს.

ამომრჩეველებმა ვაგონ-კლუბში მოისმინეს მრავალი საინტერესო ლექცია და საუბარი... რკინიგზის პოლიტგანყოფილების ლექტორებმა „მექანიზმშვილმა, სანაიამ და მელაძემ ამომრჩეველს წაუკითხეს ლექციები და მოხსენებები თემებზე: „სსრ კავშირის კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა“, „არჩევნები ჩვენთან და კაპიტალისტურ ქვეყნებში“, „ფაშისტური კერპისადმი ზიზღი“ და სხვ.

ვაგონ-კლუბში ხშირად უჩვენებენ კინოსურათებს, აწყობენ რადიოგადაცემების კოლექტიურად მოსმენას.

გალის რაიონი

ნათელი გზით

დღითიდღე უმჯობესდება სოფელ ზემო ბარღების მშრომელთა კეთილდღეობა. კოლმეურნეობა „გიგანტმა“ შარშან 7 მილიონამდე მანეთი შემოსავალი მიიღო, განუყოფელმა ფონდმა 4.215 ათას მანეთს მიაღწია.

კოლმეურნეობა „გიგანტში“ ბოლო ხანებში მთავარი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარებას. გადაჭარბებით შესრულებულია მეცხოველეობის სულადობის ზრდის გეგმა, კეთილმოწყობილია პირუტყვის სადგომები, მექანიზებულია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა, 15 მეწველი ძროხა გადაყვანილია ბაგურ კვებაზე, თვითეული მათგანი დღეში 25 ლიტრ რძეს იწველის.

ნათელი გზით მიდის წინ სოფელი ზემო ბარღები.

კულტურული ცხოვრება

ძველათ გალის რაიონში არც ერთი კულტურული დაწესებულება არ იყო. ამჟამად არის 16 სასოფლო კლუბი, 15 სასოფლო სამკითხველო, 5 სასოფლო და ორი რაიონული ბიბლიოთეკა.

რაიონული კულტურის სახლთან მუშაობენ სიმღერიანი ორკესტრის, დრამატული, მოცეკვავეთა, ავტომოყვარულთა, ჭრა-კერვისა და მოკრძალეთა წრეები.

რაიონის მშრომელებს ემსახურება 2 მოძრავი, 2 საკინოთეატრო და 4 სტაციონარული კინოდანადგარი.

შ. ჯაკადუა.

მთელი ჩვენს დიად სამშობლოსთან ერთად შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე — საბჭოთა აფხაზეთიც ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები — სოციალისტური მინდვრის ოსტატები, მრეწველობისა და ტრანსპორტის ადამიანები, კულტურის ფრონტის მუშაკები ამ დღეებში ავლენენ უდიდეს შრომითს აღმავლობასა და პოლიტიკურ აქტივობას. ყოველ დღეს სოფლად თუ ქალაქად მოაქვს ახალ-ახალი წარმატებანი.

საბჭოთა აფხაზეთის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს და საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაში გაატარეს მოწინავე ადამიანები, რომლებმაც თავიანთი პატრიოტული შრომით, საუკეთესო თვისებებით დაიმსახურეს ხალხის ნდობა და პატივისცემა.

შევხვდეთ არჩევნების დღეს — 14 მარტს ახალი თვალსაჩინო წარმატებებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტებზე, — ასეთია ამომრჩეველთა — რესპუბლიკის მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილება.

ქვემოთ მოთავსებული მასალები მოგვითხრობენ საბჭოთა აფხაზეთის მშრომელთა ცხოვრებაზე, მის მოწინავე ადამიანებზე.

კოლმეურნეობის უნარიანი ორგანიზატორი

ვისაც სოფელ დურიფშში ამ რამდენიმე წლის წინათ გაუვლია, მას ვეღარ იცნობს. შორიდანვე თვალს იტაცებს შემოქმედებითი შრომის დიდებული პანორამა: ასობით ჰექტარზეა გადაჭიმული ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები, ლამაზ ქუჩებს ამშვენებს ორსართულიანი სახლები, სკოლის შესანიშნავი მოჩუქურთმებული შენობა...

აქ კოლმეურნე თუ მექანიზატორი მხოლოდ ერთი ფიქრითა და გრძნობით მოქმედებს: თავიანთი წვლილი შეიტანონ დიდ საყოველთაო სახალხო საქმეში — სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობაში, მიაღწიონ მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას.

მთელი სოფელი იცნობს კოლმეურნე დ. თარბას როგორც მუყაითა კოლმეურნეს. იგი ერთი პირველთაგანი გავიდა მინდვრად საგაზაფხულო სამუშაოების ადრე და მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად. დ. თარბას გადაწყვეტილი აქვს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში არ ჩამორჩეს სოციალისტური შრომის გმირს, სახელგანთქმულ ადამიანს თ. თარბას.

დ. თარბა სიყვარულით ლაპარაკობს იმ დავალებებზე, რომლებიც მისცა კოლმეურნეებს სოციალისტური შრომის გმირმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გრიგოლ არძინბამ. არძინბა დღესაც ჩაის პლანტაციაში ტრიალებდა. მან თვითეული ბუჩქის დაბადების, ზრდის ისტორია იცის. შვილივით უყვარს ისინი. გულდასმით შეამოწმა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, ნაკლოვანებების გამოსასწორებლად საკოლმეურნეო აქტივთან ერთად დასახა ღონისძიებანი.

მას შემდეგ, რაც 1946 წელს კომუნისტი გ. არძინბა სათავეში ჩაუდგა დურიფშის ჩამორჩენილ კოლმეურნეობას, საზოგადოებრივი მეურნეობა აღმავლობის გზით წავიდა.

დღეს დურიფშის კოლმეურნეობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა. მართალია, ჩაი ამ კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა, მაგრამ მარცვლეულს არანაკლებ პატივსა სცემენ. კოლმეურნეობამ შარშან წარსულ წლებთან შედარებით ერთი-ორად მეტი მოსავალი მიიღო. მოსავლიანობის ზრდის შედეგად ყოველწლიურად დიდდება კოლმეურნეობის შემოსავალი, რომელმაც უკვე 12 მილიონ მანეთს მიაღწია.

არა მარტო კოლმეურნეობა, არამედ პიველი, მეორე, მესამე და მეხუთე ბრიგადებიც მილიონერები არიან.

ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა და ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ ამომრჩევლებისადმი დურიფშელ კოლმეურნეთა მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მემინდვრეთა, მექანიზატორთა შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშოდ ჩასატარებლად, უხვი მოსავლის მისაღებად. მთელი მათი საქმიანობა გამსჭვალულია მხურვალე მისწრაფებით — მისცენ სამშობლოს მეტი ჩაი, სიმინდი, ციტრუსები, ხორცი, რძე, გაუმჯობესონ კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

კოლმეურნეობაში ათობით არიან ადამიანები, რომლებიც შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან. მათს გამოცდილებას სწავლობენ მეზობელი რაიონების კოლმეურნეებიც.

კოლმეურნეობის წარმატებათა საიდუმლოება ნათელია: საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია და კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. არძინბა სწორად ანაწილებენ ადამიანებს საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, ყოველდღიურად ამოწმებენ, ეხმარებიან მათ. აქ ნამდვილად ჩანს პარტორგანიზაციის როლი კოლმეურნეობის ცხოვრებაში, კოლმეურნეთა აღზრდაში. მას შემდეგ რაც პირველ ბრიგადას სათავეში ჩაუყენეს კომუნისტი ი. გუგუნავა, საქმე წინ წავიდა. მას არ ჩამორჩებიან ბრიგადირები ვ. თარბა, რ. ბუტბა...

ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობაში მისაბაძი გახდნენ მოწინავე მეჩაიე ქალები მ. არძინბა, თ. კონჯარია.

თბილი დღეების დადგომისთანავე არა ცალკეულ ნაკვეთებზე, არამედ დიდ ფართობებზე იყენებენ მოსავლიანობის ზრდის ახალ, პროგრესულ მეთოდებს. წელს სიმინდს დათესავენ კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

* * *

სოფელში ბინდი ჩამოწვა. აკაშკაშდნენ ელჩის ნათურები. ღამე მთებში გაიხიზნა. გზებზე კვლავ ისმის ავტომანქანების გუგუნი. მათ რაიონის ცენტრიდან მინერალური სასუქი გადმოაქვთ.

სოფლის ცენტრში მიმზიდველად ჩანს ლამაზად გაფორმებული საარჩევნო უბანი. აგიტპუნქტში თავი მოუყრიათ ამომრჩევლებს. აგიტატორი ლ. კონჯარია საუბარს აწყობს თემაზე: „ჩვენი სოფელი დღეს და ხვალ“. აგიტატორმა ცოცხალ მემატიანეთა — მოხუცთა გადმოცემით დაახასიათა ძველი დურიფში, გლეხკაცობის დაუძინებელი მტრების ლაკირბაიებისა და ზუხბაიების თარეში. გაიხსენა წნელის ფაცხები, იქ გამეფებული სიღატაკე, შიმშილი, სიბნელე.

ძველიდან აღარაფერი დარჩენილა.

თანამედროვე დურიფშის ასაწერად აგიტატორი მხოლოდ ყველასათვის ცნობილ ფაქტებს ასახელებდა. გულს ახარებს სწორი, კეთილმოწყობილი ქუჩები, ხეივნებში ჩაფლული ახლად აშენებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ყველა ოჯახს აქვს ელექტროშუქი, რადიო.

სიხარულსა და სიხალისეს დაუსადგურებია ყველგან. საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის ყოველდღიური ზრდა იგრძნობა თვითეულ ოჯახში. შარშან შრომადღის ღირებულებამ 40 მანეთს მიაღწია. მოწინავე კოლმეურნე ხ. თარკილმა 95 ათას მანეთამდე მარტო ფულადი შემოსავალი მიიღო, საოჯახო ნივთებთან ერთად მსუბუქი ავტომანქანაც შეიძინა.

საკოლმეურნეო სოფელში ორმოცი მსუბუქი მანქანაა. ისინი ემსახურებიან ადამიანებს, რომლებმაც შრომა სახელისა და დიდების საქმედ აქციეს.

დურიფშელთა წინსვლის საწინდარია საერთო საქმის ერთგულება. აგიტატორმა დაასახელა საკოლმეურნეო წარმოების უნარიანი ხელმძღვანელი კომუნისტი გ. არძინბა. ის ნაკლოვანებებს კი არ ჩქმალავს, არამედ ამხილებს. მთელ საკოლმეურნეო აქტივთან ერთად სახავს მათი გამოსწორების გზებს.

— ნაკლი გვაქვს, მაგრამ მალე მისი ნასახიც აღარ იქნება, — მტკიცედ ამბობს გ. არძინბა. ამასვე იმეორებს ყველა კოლმეურნე.

...და როცა წინასაარჩევნო ხალხმრავალ კრებაზე დურიფშელი კოლმეურნეები შეიკრიბნენ, მათ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დეპუტატობის კანდიდატად კვლავ ერთხმად დაასახელეს პარტიის ნდობით, კოლმეურნეთა ნდობით აღჭურვილი ხალხის მსახური, მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საკოლმეურნეო შრომის ნიჭიერი ორგანიზატორი გრიგოლ შაგოს-ძე არძინბა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი გ. არძინბა ერთი იმათთაგანია, ვინც თავდადებულად, შემოქმედებითად მოღვაწეობს, იბრძვის საყოველთაო-სახალხო საქმის — სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის.

აკ. გოცირიძე.

დიმიტრი გულია,
აფხაზეთის სახალხო პოეტი.

პარტია

ვიცი, ბუნების მრისხანე ძალა
გოლიათ ქედებს შეუცვლის ალაგს...
მაგრამ ეს ძალა ვერ შეედრება
პარტიის ძალას, პარტიის ნებას,

ვიცი, ქვეყნად თუ რა უხვად არის
ზღვები — ბუნების ნაოსტატარი...
მაგრამ პარტიის მტკიცე მარჯვენამ
შეძლო ახალი ზღვების გაჩენა.

აი, მზე ხმელეთს ანათებს, ათბობს,
მაგრამ პარტიას — უდიდეს მნათობს,
მეტი აქვს ძალა, ღამით თუ დღისით
გულებში გვწვდება სინათლე მისი.

უსაზღვროდ ვრცელი არის სამყარო,
ის სიდიადით რას შევადარო?
მისებრ უსაზღვრო და დიადია
გრძნობა, რომლითაც გვიყვარს პარტია.

ხშირად, ბუნების სიზუსტე გვიკვირს,
ბნელ ღამეს მოსდევს ნათელი ციხკრის...
მისებრ ზუსტია, სტალინის აზრი,
პარტიის სიტყვა — მარადჟამ ბასრი.

უფრო სრულყოფილს რას შევადარო
პარტია — დიდი ცხოვრების წყარო,
რომ მისი შუქი არ ადგეს სვეტად,
გაციცდებოდა ჩვენი პლანეტა.

აფხაზურიდან თარგმნა **შ. აკოგბიამ.**

საბჭოთა აფხაზეთის 33-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

3 მარტს აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 33-ე წლისთავისადმი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ა. ჭოჭუა, ა. ბონდარევი, ი. თარბა, მ. ჩიქოვანი, გ. ბერულავა, ნ. კემულარია, ლ. ნარძა, ლ. ნაზაძე, აფხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი გულია, პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კულტურის მოღვაწეები.

საზეიმო სხდომა გახსნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჭოჭუამ.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 33-ე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. თარბამ. მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს აფხაზი ხალხის დიდ წარმატებებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში. იგი აღნიშნავს აფხაზი და ქართველი ხალხის მარად ურღვევ მეგობრობას და დიდ რუსი ხალხის ყოველდღიურ დახმარებას.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში მომხსენებელი გამარჯვებას უსურვებს გმირ საბჭოთა ხალხს, საყვარელ კომუნისტურ პარტიას.

შესრულებული იქნა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.



სურათზე: 1. სოხუმი. მუშა-მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი სახლი. 2. ტყვარჩელი. სტალინის სახელობის შახტის მუშათა საცხოვრებელი სახლები.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. ტოლმაჩოვისა.

სურათზე: გაგრის რაიონის ლენინიძის სახელობის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.

ორი გედი

ედუარდს ჰყავს დედა — ჯანეტ ჰიგინსი. ის ოცდარვა წლისაა, არც დავრდომილია.

მაგრამ დგას ჯანეტი ხუთი წლის ედუარდით და კიდევ ოთხი სხვა ჩვილი ბავშვით ნიუ-იორკის ერთ-ერთი შენობის წინ და ითხოვს მოწყალებას.

— არ ვიცი, რა ვქნა, არ ვიცი, ვის მივმართო. ჯიბეში მხოლოდ ორმოცი ცენტი მაქვს, ბავშვები კი დამშეულები არიან. შვიდი თვის პეტრიციას რძე უნდა. ჩვენ არავითარი ტანსაცმელი არა გვაქვს — ჩვრებიც კი არ მოგვეპოვება! — ასე შესჩივის ამერიკის მოქალაქე ქალი გამვლელ-გამომვლელს.

მამაც ჰყავს ედუარდს. მაგრამ ოგი, ისევე როგორც ნიუ-იორკის სხვა მრავალი რკინიგზელი მუშა, კვირაში მხოლოდ რამდენიმე დღეს მუშაობს, თავისი მცირე ხელფასით მას არ ძალუძს გამოკვების ოჯახი და დროზე გადიხადოს მეტისმეტად მაღალი ბინის ქირა.

ასეთია ჰიგინსის ოჯახის ტრაგედია, ერთი მრავალთაგანი ოჯახისა ამერიკაში, ცათამბჯენთა ფასადებს იქით, სადღაც ჯურღმულებში მომწყვდეული ოჯახის ტრაგედია.

გასაგებია, თუ როგორი იქნება უპატრონო, უდედმამო ბავშვების ხვედრი ამერიკაში — დოლარების, „ყვითელი ეშმაკის“ ქვეყანაში. მეტად მძიმე და უსიხარულოა ბავშვების — მშრომელთა შვილების ცხოვრება კაპიტალის ქვეყნებში, ათასობით მცირეწოლოვანი ილუპება სიღატაკის, შიმშილისა და ავადმყოფობისაგან. უსახსრობა, შიმშილი და ქანცგამომლევი მძიმე შრომა (თუ სამუშაო იშოვნა!) გორნებას უბრუნებს მათ, არ აძლევს ნიჭის გაფურჩქვნის, სწავლის საშუალებას.

დასაღუპავად განწირულია ნორჩი თაობა იქ, კაპიტალის ქვეყნებში, სადაც ომისათვის გამალებული მზადება ნთქავს მილიონობით ბავშვის ნორჩ სიცოცხლეს.

* * *

უდედმამო საბჭოთა ბავშვს რაია ლუკინას მფარველად და მოალერსე, მზრუნველ დედად დაუდგა სამშობლო, საბჭოთა ხალხი, ცრემლი შეუშრო დაობლებულ ბავშვს ნამდვილმა დედამ — სოციალისტურმა სამშობლომ. დედობრივი სიყვარული მიიღო იგი სოფელ განთიადის უდედმამო ბავშვთა სახლმა, გადაფარა მას თავისი კალთა.

განთიადი ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია აფხაზეთში, გაგრის რაიონში. შავი ზღვის ახლოს აღუმართავთ შესანიშნავი შენობა საბჭოთა ადამიანებს დაობლებული ბავშვებისათვის, მშვენივრად მოურთავთ ამ სახლის ეზო-კარი, გაუშენებიათ საუკეთესო დამზმარე მეურნეობა. სამაგვარ სახლის შენობაში სინათლე და მზის სხივებია დაფრქვეული, სიცოცხლე და სიხარულია დამკვიდრებული.

მარტო რაია ლუკინა როდია აქ. ეს ოთხმოცი ბავშვი ეზრდება განთიადში. ბევრი მათგანის მშობლები ფაშისტების მიერ ჩვენთვის თავგამოხვეულმა ომმა იმსხვერპლა.

რაია ლუკინა, ალიოშა უშვერიძე, ჟანა მისიკი, ვიქტორ კორნიენკო, ალლა ცობეხია და ბევრი სხვა მე-9, მე-10, მე-11 კლასების წარჩინებული მოსწავლეები არიან.

ისინი უჩვეულო სიხარულს განიცდიან ამ დღეებში: 14 მარტს პირველად განახორციელებენ საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს — პირველად მისცემენ ხმას ხალხის რჩეულთა, კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს — მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

ჭეშმარიტად ბედნიერი, ხალისიანი, სასიხარულო ცხოვრებაა, რომელიც განთიადის უდედმამო ბავშვთა სახლში, ამ სახლის მკვიდრთ ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ იმავე სახლში დამთავრონ რვაწლიანი სკოლა, ფართოდ გაშალონ თავიანთი ნიჭი თვითმოქმედ წრეებში, გაეცნონ აგრონომიული მეცნიერების საფუძვლებს საცდელ ნაკვეთებზე.

და შემდეგ ეს სახლი მათ აძლევს საგზურს უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი და შინაარსიანი ცხოვრებისაკენ, რომ უფრო ფართოდ გაიშალოს მათი შემოქმედებითი ჰორიზონტი, რომ სამშობლოს დიდ ამაგის გადახდა ხალხისათვის ნაყოფიერი სამსახურით შეძლონ.

საგულისხმოა განთიადის სამაგვარ სახლის აღზრდილის მილა ლებედევას მომავალი ბედი. იგი აქ იზრდებოდა, აქ, ამ სახლთან არსებულ რვაწლიან სკოლაში სწავლობდა, შემდეგ წარმატებით დამთავრა მეზობელი სოფლის — ხეივნის საშუალო სკოლა და შევიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში.

ალუელვებლად არ შეუძლია მას მოიგონოს თავისი მეორე დედა — განთიადის სამაგვარ სახლი, რომელმაც მისცა მას დაუვიწყარი კეთილი საგზური ახალი, ნათელი ცხოვრებისაკენ. ახლა მისი მისწრაფებაა წარმატებით დაამთავროს ინსტიტუტი, რომ ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგომმა ხალხს სამსახური გაუწიოს, დედა-სამშობლოს ამაგი გადაუხადოს.

ვინ ჩამოთვლის, რამდენი აღზრდილი გაუშვია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისაკენ განთიადის სამაგვარ სახლს, რამდენი ახალგაზრდისათვის უჩვენებია ცხოვრების ნათელი გზა, მიუცია შესაძლებლობა აშენოს, მოაწყოს თავისი ბედნიერი მომავალი. ლიუდმილა გერასიმოვა ლენინგრადის იურიდიულ ინსტიტუტში სწავლობს. სავა კაიეც

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დამთავრა და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, ნორჩ თაობას ზრდის, ირინა ბაეკა კი ამავე სახლშია უფროს პიონერხელმძღვანელად.

მშობლიური მზრუნველობით ზრდიან აქ ბავშვებს მასწავლებლები. აი ერთი მათგანი — ნადეჟდა კოზედუბოვა. თვითონ ნადეჟდას ბედიც, მისი ცხოვრების გზაც ისეთივეა, როგორიც განთიადის სამაგვარ სახლის ზემოჩამოთვლილი აღზრდილებისა — ისიც ამ სახლში იზრდებოდა. შემდეგ განაგრძო სწავლა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, დამთავრა იგი და კვლავ დაუბრუნდა მის აღმზრდელ სამაგვარ სახლს. ახლა იგი იქ აღმზრდელ-პედაგოგის კეთილშობილურ მოღვაწეობას ეწევა.

როცა ეცნობი განთიადის სამაგვარ სახლის ცხოვრებას, ხედავ მის მკვიდრთა გაცისკროვნებულ, ბედნიერებით გაბრწყინებულ სახეებს, ერთხელ კიდევ ნათლად რწმუნდები, რომ სოციალიზმის ქვეყანაში გარანტირებულია ადამიანის ბედნიერება, გარანტირებულია მისი აწმყო და კიდევ უკეთესი მომავალი.

ერთხელ კიდევ გაგონდება წიგნებში, გაზეთებში ამოკითხული შავი ბედი კაპიტალის მონობის ქვეშ სულის მღაფავი ნორჩი თაობისა და უფრო შეგტკივა გული მათთვის, — ისინი ხომ მოკლებული არიან ბედნიერებასა და თავისუფლებას, ისევ, რაც ესოდენ უნდა აქვთ საბჭოთა ქვეყანაში ბავშვებს, ნორჩ თაობას, ახალგაზრდობას.

ლ. ვარდუკაძე.

შენიშვნები საერთაშორისო თემაზე

1. საარჩევნო რეკლამების უკან

ინგლისელი პუბლიცისტი დერეკ კარტენი წიგნში „ამერიკის შეერთებული შტატები 1953 წელს“ შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის სიტყვებით მოგვითხრობს, თუ როგორ მიაღწია ამ უკანასკნელმა კანზას-სიტის საგალანტერიო მაღაზიის ხელმოკრული მფლობელის მდგომარეობიდან ამერიკის პრეზიდენტის პოსტამდე.

„ერთხელ, როცა განწირული ვიყავი კრახისაფვის, — ამბობს ტრუმენი, — მაღაზიაში ვიმყოფებოდი. ის-ის იყო შემომთავაზეს ადგილი სადაზღვევო, სამშენებლო და საბანკო კომპანიებში, მაგრამ მაინც საკმაოდ ნაღვლიანი განწყობილებით ვიდექი დახლის უკან. უცებ მოვიდა მაიკ პენდერგასტი. „გინდა ოლქის მოსამართლე გახდე?“ — მკითხა მან. „არ ვიცი“, — მივუგე მე. „თუ გინდა, ამის გაკეთება შეიძლება“, — დასძინა მან“.

პენდერგასტის ხრიკების მეოხებით ტრუმენმა დაიკავა მოსამართლის პოსტი. ოცი წლის შემდეგ ის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა, ხოლო დემოკრატიული პარტიის „ბოსი“ და კანზას-სიტის ათობით სამორნოს მფლობელი მაიკ პენდერგასტი ბოლოს და ბოლოს ჩამწყვდეულ იქნა ციხეში იმ ბინძური საქმეებისათვის, რომლებმაც ისე დიდ პოსტამდე მიიყვანა ტრუმენი.

სულ სხვაგვარი იყო ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტის დუაიტ ეიზენჰაუერის პოლიტიკური კარიერის დასაწყისი. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ გარეგნულად. ტრუმენიც და ეიზენჰაუერიც იმ ადამიანების რჩეულებია, რომლებიც სათავეში უდგანან ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის მძლავრ დაჯგუფებებს.

მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ ამერიკული საარჩევნო რეკლამის უკან ამოფარებული პოლიტიკური ინნაბაზი ამჟამად შეცვალა სახელმწიფო განგსტერების მთელმა ბანდამ, ხოლო ამმრჩევლებზე ნადირობა ტერორის, მოსყიდვისა და სპეკულაციურ გარიგებათა საშუალებით ამ „დემოკრატიული“ კამპანიების ჩატარების დაკანონებულ მეთოდად იქცა.

შეერთებული შტატების კონსტიტუციის ფართოდ რეკლამირებული დებულება, რომ „შეერთებული შტატების მოქალაქეთა უფლება — მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში — უარყოფილი ან შეზღუდული არ იქნება შეერთებული შტატების ან რომელიმე ცალკეული შტატის მიერ რასის, კანის ფერის ან წარსული მონური მდგომარეობის საბაბით“, სინამდვილეში მხოლოდ ყბადაღებული „ცხოვრების ამერიკული წესის“ ზიზილპიზილებიანი შირმაა.

რომ არაფერი ვთქვათ პოლიციურ ტერორსა და კუკლუქსკლანელთა და სხვა ფაშისტს ნაძარალთა „მოღვაწეობაზე“ არჩევნებში, შეერთებულ შტატებში მარტო საარჩევნო ცენზის 50-ზე მეტი სახე არსებობს.

მაგალითად, სამხრეთ კაროლინის შტატში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ამ ზანგებს ეძლევათ, რომლებიც წარმოადგენენ ათი „სანდო“ თეთრკანიანის წერილობით ცნობას იმის შესახებ, რომ ეს ზანგები პირადად აძლევდნენ ხმას დემოკრატიულ კანდიდატს... 1876 წელს. ეს უაზრო მოთხოვნა ჯადოქრულად ზანგი მოქალაქის არჩევნებიდან ჩამოცილებას ნიშნავს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საარჩევნო კანპანია, როგორც წესი, არაჩვეულებრივი ხმაურით და აურზაურით ტარდება. ამ საქმეს ყვითელი პრესა, რადიო, კინო, თეატრი, დაქირავებულ მჯღაბნელთა მთელი არმია ემსახურება. წმოყენებული კანდიდატები ჯამბაზობენ და იმანჯებიან ამომრჩეველთა წინაშე, ცდილობენ დაარწმუნონ ამომრჩევლები, რომ ისინი, კანდიდატები, ნამდვილად „უბრალო ბიჭებს“ წარმოადგენენ, გამოსული არიან ხალხის წიაღიდან, მათ კავშირი არ გაუწყვეტიათ ხალხთან.

როგორც ჟურნალი „კოლიერსი“ მოგვითხრობს, შეერთებული შტატების კონგრესის 53 და გუბერნატორობის 12 კანდიდატი ამომრჩეველთა სიმპათიას იმით იმსახურებდნენ, რომ მიტინგებზე წარმოთქმული სიტყვების შემდეგ ბანჯოს, საქსოფონსა და ჩასაბერ გარმონს უკრავდნენ. შვიდი კანდიდატი ამომრჩეველთა გასართობად ყირაზე დგებოდა, ხოლო სამი მალაყსაც კი გადადიოდა.

საარჩევნო კამპანიის დროს საზღვარი არა აქვს დემაგოგიურ დაპირებებს ამომრჩეველებისადმი, ცილისწამებასა და შეურაცხყოფას სხვა პარტიების კანდიდატების მისამართით. ამასთან ერთად გაცხოველებით წარმოეს ამომრჩეველთა აშკარა მოსყიდვა და ბნელი პიროვნებების დაქირავება არჩევნებში „გამოსაყენებლად“.

გენერალი ეიზენჰაუერიც ჰპირდებოდა ხალხს „ოქროს მთებს“, მშვიდობიან ცხოვრებას. ამასთანავე მან სპეციალური მატარებლით 12 ათასი კილომეტრი გაიარა და 228-ჯერ წარმოთქვა სიტყვა. „ჩვენს ხალხს უყვარს შრომა, მშვიდობა და ჩვენ ორივე უნდა მივცეთ მას“, — აცხადებდა იგი. ხოლო უდიდესი ამერიკული საარეკლამო სააგენტო — ბეტენის, ბარტონისა, დერსტინისა და ოსბორნის სააგენტო ისევე უკეთებდა მას რეკლამას, როგორც ჩვეულებრივად უკეთებს რეკლამას ქლოროფილიან კბილის პასტასა და საკონსერვო ქილებში ჩასხმულ ლუდს.

მაგრამ როცა ეიზენჰაუერი პრეზიდენტი გახდა, მან ნიღაბი ნაგვის კალათში ისროლა და ჭეშმარიტი პოლიციელის რიხით განაცხადა:

„თუ ყველაფერი, რაც ამერიკელებს სურთ, მშვიდად ცხოვრებაა, მათ შეუძლიათ საპყრობილეში წავიდნენ“.

ეს საარჩევნო კამპანიის ტიპური ფინალია „ყვითელი ეშმაკის“ ქვეყანაში. რეკლამები მოიხსნა. სინამდვილემ კიდევ უფრო მწვავედ აგრძნობინა ამერიკელებს, რომ წასვლა არსად არ არის საჭირო — შეერთებული შტატები მათთვის ისეც წარმოადგენს საპყრობილეს.

2. მაკარტი და XIII საუკუნის მოქანდაკე

ამერიკულ ჟარგონზე სიტყვა „გიმიკი“ საარეკლამო ტრიუკს ნიშნავს. ჟურნალ „ფეგენშენ დაიჯესტის“ განსაზღვრით „გიმიკი — ეს რეკლამის უმაღლესი ფორმაა“. ჟურნალი „გიმიკს“ გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევს: „თქვენ შეგიძლიათ შექმესრი იყოთ და შიმშილით კვდებოდეთ იმ დროს, როცა გიმიკის დახმარებით მრავალმა ადამიანმა, რომლებსაც არავითარი განსაკუთრებული ნიჭი არ გააჩნიათ, უდიდესი ქონება და ავტორიტეტი შეიძინა“.

ამერიკელმა სენატორმა ჯოზეფ მაკართიმ კარგად შეითვისა ეს ჭეშმარიტება. მისი „გიმიკი“ „კუდიანებზე ნადირობაა“.

ხვალინდელი დღის შიშით გონებადაჩლუნგებულ სენატორს ყველგან „კომუნისტური საფრთხე“ და „ანტიამერიკული შეთქმულება“ ელანდება. ზოგიერთი ამერიკელი ამტკიცებს, დღევანდელი ტექნიკა რომ საშუალებას იძლეოდეს, მაკარტი თავისი ყბადაღებული „ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისიის“ მოღვაწეობას მარსზე და, შესაძლოა, უფრო შორეულ პლანეტებზეც გაავრცელებდა. ჯერჯერობით კი „კუდიანებზე მონადირე“ ჯოზეფ მაკარტის ყურადღება მიპყრობილია აწმყოსა და... შორეულ წარსულზე. მისი მორიგი მსხვერპლი გახდა XIII საუკუნის ნიჭიერი პოლონელი მოქანდაკე ვიტ სტვოში.

რამ მისცა საბაბი ამერიკელ სენატორს ბრალად დაედო ძველი პოლონელი ოსტატისათვის „კომუნისტიური პროპაგანდა“?

საქმე შემდეგშია:

პოლონეთის უძველეს ქალაქ კრაკოვში არის ცნობილი მარიაცკის ტაძარი. ეს ტაძარი განთქმულია თავისი არქიტექტურით და უწინარეს ყოვლისა ვიტ სტვოშის მიერ გაკეთებული საუცხოო საკურთხევლით. ჰიტლერული ოკუპაციის დროს ფაშისტებმა ეს საკურთხეველი დაბომბეს და გერმანიაში გაიტანეს. საბჭოთა ჯარებმა იგი გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში აღმოაჩინეს და საშშბლოში დაბრუნეს. საკურთხეველი აღდგენილ იქნა. პოლონელმა კინემატოგრაფისტებმა გადაიღეს იგი და შექმნეს სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ვიტ სტვოში“.

აი სწორედ ამ ფილმმა გამოიწვია სენატორ მაკარტის რისხვა. მას შემდეგ, რაც ფილმი ვაშინგტონის კინოთეატრ „ჯორჯტაუნში“ უჩვენეს, თეატრის მფლობელი დაუყოვნებლივ დაბარეს მაკარტის კომისიაში ჩვენების მისაცემად. ბრალდების ერთი პუნქტი იუწყებოდა: „... არალეგალური კომუნისტური მოღვაწეობა...“ და თუმცა ფილმი გამოხატავდა სკულპტურაში აღბეჭდილ რელიგიურ სცენებს, „ვიტ სტვოში“... განთქმული იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებიდან, რადგან კინოფილმი გადაღებული იყო თავისუფალ პოლონეთში.

ესეც თავისებური „გიმიკია“ ამერიკული სტილის რეპუტაციის შესაქმნელად. მის ნამდვილ არსში კი ეჭვი არავის ეპარება: ვაშინგტონელ მანიაკს არ შეუძლია შეურიგდეს იმ ფაქტს, რომ ახალ პოლონეთში ხალხი ღრმა პატივს სცემს ეროვნული კულტურის ტრადიციებს.

ა. კუსრაშვილი.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მიმართვა მსოფლიოს ყველა ქალიშვილისადმი

ბუდაპეშტი, 2 მარტი. (საკდესი). ქალთა მომავალ საერთაშორისო დღესასწაულთან დაკავშირებით დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ მოუწოდა მსოფლიოს ყველა ქალიშვილს წამოაყენონ ამ დღეს თავიანთი საარსებო მოთხოვნები:

მამაკაცის თანაბარი პოლიტიკური უფლებები; თანაბარი ხელფასი თანაბარი სამუშაოსათვის; ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა;

თავიანთი კერის და თავიანთი ოჯახის თავისუფლად შექმნის შესაძლებლობა.

მხოლოდ მშვიდობის პირობებშია შესაძლებელი ახალგაზრდა თაობის ბედნიერება, ნათქვამია მოწოდებაში, ამიტომ იბრძოლეთ ახალი ომის მზადების გეგმების წინააღმდეგ.

ევროპის ქვეყნების მემარჯვენე სოციალისტური პარტიების კონფერენციაზე

ბრიუსელი, 3 მარტი. (საკდესი). 27 და 28 თებერვალს ბრიუსელში მიმდინარეობდა ევროპის ქვეყნების მემარჯვენე სოციალისტური პარტიების კონფერენცია.

როგორც ბელგას სააგენტომ გადმოგვცა, კონფერენციის დახურულ სხდომაზე მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გააკეთა ბელგიელი სოციალისტების წარმომადგენელმა გაზეთ „ბეპლის“ რედაქტორმა ვიქტორ ლეროკმა.

თავის მოხსენებაში ლეროკი ცდილობდა გაემართლებინა დასავლეთ ევროპის მთავრობათა საგარეო პოლიტიკა, რომლის მიზანია ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნა. მან მოუწოდა ევროპის ქვეყნებს დაუახლოვდნენ „ამერიკულ კაპიტალისტებს“. ამასთან ლეროკმა მიმართა უხეშ ანტისაბჭოთა ცილისწამებებს.

ლეროკის მოხსენების გამო გამართულ კამათში გამომქცევნდა დიდი უთანხმოებანი ცალკეული ქვეყნების მემარჯვენე სოციალისტურ პარტიებს შორის და მათ შიგნით საგარეო პოლიტიკის საკითხებზე და უწინარეს ყოვლისა კი „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის საკითხზე.

ლეიბორისტი ბიურკი, შეეხო რა უთანხმოებებს, რომლებიც არსებობენ ინგლისელ ლეიბორისტთა შორის „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საკითხში, ჩიოდა, რომ ამ გეგმების განსახორციელებლად არ ყოფნით „ერთიანობა“ მათს მონაწილეებს.

საფრანგეთის სოციალისტების ლიდერმა გი მოლემ აღიარა, რომ მის პარტიაში სერიოზული უთანხმოებაა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საკითხში და საგარეო პოლიტიკის სხვა საკითხებში.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა ბელგიელმა სოციალისტმა სენატორმა როლენმა. მან განაცხადა, რომ ვაშინგტონის პოლიტიკამ სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია ევროპაში. გაკრიტიკა რა დასავლეთის სამი სახელმწიფოს პოზიცია, რომლებიც უარყოფენ ყოველგვარ საბჭოთა წინადადებას, მან აღნიშნა, რომ ასეთი პოზიცია ხელს უშლის საერთაშორისო საკითხებზე მოლაპარაკების წარმატებას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური პარტიის ძირეული ორგანიზაციების მოქმედების ერთიანობა

პარიზი, 2 მარტი. (საკდესი). მიუხედავად მემარჯვენე სოციალისტების ლიდერთა გამოთქმული პოზიციისა, ამ პარტიის ძირეული ორგანიზაციები მოქმედების ერთიანობას ამყარებენ კომუნისტებთან. როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, გუშინ მოხდა ქალაქ შერბურის მერისა და მის მოადგილეთა არჩევნები, რომელზეც კომუნისტმა მუნიციპალურმა მრჩევლებმა სოციალისტური პარტიის კანდიდატებს მისცეს ხმა. თავის მხრივ სოციალისტებმა მხარი დაუჭირეს კომუნისტის კანდიდატურას მერის მოადგილის პოსტზე. მოქმედების ერთიანობის შედეგად ქალაქის მერად სოციალისტი აირჩიეს. ერთ-ერთ მოადგილედ არჩეულია კომუნისტური პარტიის მანშის დეპარტამენტის ფედერაციის მდივანი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ შერბურის მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა არჩევნების შედეგს.

ინდოეთმა მოითხოვა ქაშმირიდან ამერიკის სამხედრო მეთვალყურეების გაყვანა

კარაჩი, 2 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის დელეგი კორესპონდენტის ცნობით, ინდოეთის მთავრობამ აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომ ამერიკელი ოფიცრები, რომლებიც ქაშმირში „სამხედრო მეთვალყურეებად“ იმყოფებიან, ინდოეთის მთავრობისათვის მისაღები აღარ არიან. ამასთან დაკავშირებით ინდოეთის მთავრობამ მოითხოვა, რომ აღნიშნული ამერიკელი „მეთვალყურენი“ რომელმე სხვა ქვეყნის წარმომადგენლებით შეცვალონ.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მარიან დიმიტრის ასული კოვრიგინა დანიშნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ა. თ. ტრეტიაკოვი გათავისუფლა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან.

გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის გამგეობის განცხადება ბერლინის თათბირის შესახებ

ბერლინი, 2 მარტი. (საკდესი). გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის გამგეობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელთაც გამოთქვამს თავის თვალსაზრისს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის შედეგების შესახებ.

განცხადებაში გამოთქმულია მადლობა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვისადმი მის მიერ ბერლინის თათბირზე შეტანილი კონსტრუქციული წინადადებებისათვის, რომლებიც მიმართული იყო საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისა და გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისაკენ.

გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის გამგეობა შემდეგ აღნიშნავს, რომ, თუმცა თათბირს, საბჭოთა წინადადებების მიმართ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების უარყოფითი პოზიციის გამო, არ მიუღია გადაწყვეტილება გერმანიის საკითხზე, მაგრამ მაინც მან წარმატებას მიაღწია თავის მუშაობაში, რაკი დადგინა აპრილში ჟენევაში მოწვეულ იქნას კონფერენცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით.

განცხადებაში აღნიშნულია ის საფრთხე, რასაც გერმანელი ხალხისათვის წარმოადგენს სამხედრო ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ, რომლის თანახმად გერმანელი ჰიტლერელები აგრესიული არმიის დაქირავებული ჯარისკაცები უნდა გახდნენ.

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ გერმანელ ხალხს ესაჭიროება არა ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებანი, არამედ საზავო ხელშეკრულების დადება და გერმანიის გაერთიანება მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე, გამგეობა აცხადებს:

გერმანული მილიტარიზმი ყველა გერმანელი ქალისა და დედის უბოროტესი მტერია, რადგან იგი ახირებს გაანაღოს ახალი ომი და უბედურებაში ჩაგდოს ევროპის ყველა ქვეყნის ხალხები. ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებები ძალაში არ უნდა შევიდეს. გერმანელ ქალთა დემოკრატიული კავშირი მიმართავს მოწოდებით ყველა გერმანელ ქალს—შეიგნონ თავიანთი დიდი პასუხისმგებლობა, ახსოვდეთ, რომ გერმანიის საკითხის გადაწყვეტა უწინარეს ყოვლისა თვით გერმანელი ხალხის საქმეა.

ამიტომ ქალები და დედები ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში უფრო მჭიდროდ უნდა გაერთიანდნენ, რათა უფრო მტკიცედ, ვიდრე დღემდე, იბრძოლონ სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, რეკრუტირებისა და სამხედრო ბეგრის კანონის წინააღმდეგ.

ევროპის ქვეყნების მემარჯვენე სოციალისტური პარტიების კონფერენციაზე

ბრიუსელი, 3 მარტი. (საკდესი). 27 და 28 თებერვალს ბრიუსელში მიმდინარეობდა ევროპის ქვეყნების მემარჯვენე სოციალისტური პარტიების კონფერენცია.

როგორც ბელგას სააგენტომ გადმოგვცა, კონფერენციის დახურულ სხდომაზე მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გააკეთა ბელგიელი სოციალისტების წარმომადგენელმა გაზეთ „ბეპლის“ რედაქტორმა ვიქტორ ლეროკმა.

თავის მოხსენებაში ლეროკი ცდილობდა გაემართლებინა დასავლეთ ევროპის მთავრობათა საგარეო პოლიტიკა, რომლის მიზანია ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნა. მან მოუწოდა ევროპის ქვეყნებს დაუახლოვდნენ „ამერიკულ კაპიტალისტებს“. ამასთან ლეროკმა მიმართა უხეშ ანტისაბჭოთა ცილისწამებებს.

ლეროკის მოხსენების გამო გამართულ კამათში გამომქცევნდა დიდი უთანხმოებანი ცალკეული ქვეყნების მემარჯვენე სოციალისტურ პარტიებს შორის და მათ შიგნით საგარეო პოლიტიკის საკითხებზე და უწინარეს ყოვლისა კი „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის საკითხზე.

ლეიბორისტი ბიურკი, შეეხო რა უთანხმოებებს, რომლებიც არსებობენ ინგლისელ ლეიბორისტთა შორის „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საკითხში, ჩიოდა, რომ ამ გეგმების განსახორციელებლად არ ყოფნით „ერთიანობა“ მათს მონაწილეებს.

საფრანგეთის სოციალისტების ლიდერმა გი მოლემ აღიარა, რომ მის პარტიაში სერიოზული უთანხმოებაა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საკითხში და საგარეო პოლიტიკის სხვა საკითხებში.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა ბელგიელმა სოციალისტმა სენატორმა როლენმა. მან განაცხადა, რომ ვაშინგტონის პოლიტიკამ სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია ევროპაში. გაკრიტიკა რა დასავლეთის სამი სახელმწიფოს პოზიცია, რომლებიც უარყოფენ ყოველგვარ საბჭოთა წინადადებას, მან აღნიშნა, რომ ასეთი პოზიცია ხელს უშლის საერთაშორისო საკითხებზე მოლაპარაკების წარმატებას.

ინდოეთმა მოითხოვა ქაშმირიდან ამერიკის სამხედრო მეთვალყურეების გაყვანა

კარაჩი, 2 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის დელეგი კორესპონდენტის ცნობით, ინდოეთის მთავრობამ აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომ ამერიკელი ოფიცრები, რომლებიც ქაშმირში „სამხედრო მეთვალყურეებად“ იმყოფებიან, ინდოეთის მთავრობისათვის მისაღები აღარ არიან. ამასთან დაკავშირებით ინდოეთის მთავრობამ მოითხოვა, რომ აღნიშნული ამერიკელი „მეთვალყურენი“ რომელმე სხვა ქვეყნის წარმომადგენლებით შეცვალონ.

თბილისი

„ზის-155“ მარკის დიდი ავტობუსის ამ ორ მძღოლს ყოველდღე ნახავთ თბილისს — რუსთაველის გზაზე. დილით, როცა ჯერ კიდევ ბნელა, მათი წითელი მანქანა უკვე დგას ლენინის სახელობის მოედანზე. იგი მგზავრებით სავსე მიეშურება მეტალურგთა ქალაქში.

თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორის მოწინავე მძღოლები ვ. შეტეტიაშვილი და ს. დოროშენკო მზრუნველად უვლიან თავიანთ მანქანას, რომელმაც უკვე გაიარა 242 ათასი კილომეტრი ისე, რომ კაპიტალური რემონტი არ დასჭირვებია, ნორმა კი 165 ათას კილომეტრს ითვალისწინებს.

მძღოლებმა ვალდებულება იკისრეს კიდევ გაიარონ 150 ათასი კილომეტრი ურემონტოდ. მუშაობაში კარგი მაჩვენებლებისათვის მათ მიიღეს უულადი ჯილდო.

სურათზე: ავტობუსის მძღოლები ს. დოროშენკო (მარცხნივ) და ვ. შეტეტიაშვილი.

ფოტო ვ. ზარიძისა.

საქართველოს პირველობა ჭადრაკში

ხუთი ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

კალატოზიშვილს გადადებულ პარტიაში ნიკოშვილთან ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ აჩქარებული თამაშის გამო გაება ნიკოშვილის მიერ დაგებულ მახეში და დაკარგა ეტლში ლაზიერი. 62-ე სვლაზე კალატოზიშვილი დანებდა.

ჯაკობაის არწუტენინთან ხარისხი აკლდა და მცირე წინაღმდეგობის შემდეგ დათმო პარტია.

ბლაგიძე-მიქაელიანის პარტიაში ბლაგიძეს ლაზიერების ენდშპილში უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ მისი ცდა — მოეპოვებინა გამარჯვება, ამაო აღმოჩნდა. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ასევე ყაიმით დამთავრდა ფრუიძე-მაჭავარიანის პარტია.

ხუთი ტურის შემდეგ ბუსლაევს აქვს — 4 ქულა, მ. შიშოვს, ბ. გურგენიძეს, ო. ელიოზიშვილს — 3½ ქულა თვითეულს, ა. ბლაგიძეს, თ. კალატოზიშვილს, ი. ჩიქოვანს — სამ-სამი ქულა.

ქალაქის პირველობა მძღეოსნობაში ჭაბუკთა შორის

ამას წინათ „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება მძღეოსნობაში თბილისის პირად პირველობაზე ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 300 ახალგაზრდა სპორტსმენმა. პროგრამაში იყო რბენა სხვადასხვა დისტანციაზე, ხტომა სიგრძესა და სიმაღლეზე, ბადროს, შუბის ტყორცნა და სხვ.

ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლემ ი. კუჭუხიძემ შუბი ტყორცნა 53 მეტრსა და 52 სანტიმეტრზე, რითაც დაამყარა საქართველოს რეკორდი 16-17 წლის ჭაბუკთათვის. ქალთა 32-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. სესაძემ ბადრო ტყორცნა 42 მეტრსა და 36 სანტიმეტრზე. (საკდესი).

დედაქალაქის მოსახლეობისათვის

თბილხილბოსტანვაჭრობამ დნეპროპეტროვსკსა და დონბასში, აგრეთვე სხვა მოძმე რესპუბლიკებში, თბილისის მოსახლეობის მოსამარაგებლად შეიძინა 240 ტონა კიტრის, 125 ტონა მწვანე პამიდორის მწნილი, 250 ტონა ტომატი, სტაფილო და სხვ.

* * *

თბილისის გარეუბნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობიდან დაიწყო ადრეული ბოსტნეულის შემოტანა. თბილხილბოსტანვაჭრობის მაღაზიებში უკვე შემოზიდულია და იყიდება 10 ტონა წითელი ბოლოკი, 3 ტონა სტაფილო, მწვანილი.

* * *

ცეკავშირის „თბილკოოპვაჭრობამ“, რომელსაც თბილისში საკოლმეურნეო ბაზრებსა და ზოგიერთ დიდ საწარმოსთან 18 საავჭრო წერტილი აქვს, რესპუბლიკის სხვადასხვა კოლმეურნეობაში შეიძინა 300 ტონა კარტოფილი, 100 ტონა ხახვი, ლობიო, კომბოსტო, 40 ტონა ხორცი, 8 ტონა ყველი, 20 ტონა ბრინჯი, აგრეთვე ვაშლი, თაფლი, ჭარხალი, რძე.

თბილკვებვაჭრობის მაღაზიებში იყიდება საადრეო ბოსტნეული — სტაფილო, წიწმატი, ისპანახი, ბოლოკი.

ახალი სპექტაკლი

თბილისის მასწავლებლის სახლის რუსულმა დრამატულმა კოლექტივმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დანაშავენი“. დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ო. ალექსიშვილს, მხატვრობა—ი. ხუროშვილს. როლებს ასრულებენ მასწავლებლები ე. ჩეკმენოვა, ლ. ცაბაძე, ტ. მოსესოვა, ვ. პლატონოვა, ი. გიორგაძე და სხვები.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაშვილი.

საქართველოს კ. პ. თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში

4 მარტს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში შედგება სემინარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის (სწავლების პირველი წელი) თემაზე: „ისტორიული მატერიალიზმი“. სემინარის ხელმძღვანელია დოკენტი ი. შარაშენიძე.

4 მარტს საღამოს 8 საათზე მოეწყობა სემინარი პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის. სემინარის ხელმძღვანელია პროფესორი ს. ბერაძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

4 მარტს	დ. თორაძე — **გორდა**
5 მარტს	ზ. ფალიაშვილი — **დაისი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის. — დიადი მომავლისათვის, **მარჯანიშვილის სახელობის** — უფსკრულთან, **გრიბოედოვის სახელობის** — თოლია, **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ლურჯა (აბონემენტი № 7,6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — საგანგებო დავალება (10 ს.), **სანიტარული კულტურის** — ცირუ, **თოჯინების ქართული** — ხაფანგში (11 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, თბილისი, ახანი, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ძახველის ქალი, **26 კომისრის, ოქტომბერი, სპარტაკი, ორჯონიკიძის სახელობის კლუბი** — მოსაგვარებელი საქმე, **კომკავშირელი, დიდუბე** — ბედის მოწოდება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის და მინერალოგიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე აწ. 20 მარტს დილის 1 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ლეონ კალისტრატეს-ძე გაგუნია** დიაცავს დისერტაციას თემაზე: **„К истории гиппарионов (по материалам из неогена СССР)“.**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი დოქტორი **ლ. შ. დავითაშვილი,** პროფესორი დოქტორი **კ. კ. ფლეროვი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი დოქტორი **ი. ბ. კაჭარავა.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქ. № 1, III სართული) სამუშაო საათებში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 17 მარტს დილის 1 საათზე, № 93 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნოდარ დავითის-ძე ანდღულაძე** დიაცავს დისერტაციას თემაზე: **„გრამატიკული კლასების კატეგორია იბერიულ-კავკასიურ ენებში“.**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ქ. **ლომთათიძე,** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოკენტი **ილ. ცერცვაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 17 მარტს დღის 2 საათზე № 107 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ანტონ ალექსის-ძე გელაშვილი** დიაცავს დისერტაციას თემაზე: **„ეზროვნების კანონების საკითხისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები: ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ლ. გოკიელი,** ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოკენტი **გ. კალანდარიშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ არკადი ფილიპეს-ძე გოცირიძის გარდაცვალებას.

საქართველოს ფილარმონიის ბიბლიოგრაფიული ბიურო

მოქალაქე **რომა პავლეს ასულმა ბოჭორიშვილმა,** მცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 89, აღძრა საქმე ვარაზის ხეი № 17 მცხოვრებ მოქალაქე **ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ვორობიოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე თამარ, შვილი ნიკოლოზ ანთაძეები, სიდედრი სათენიკა, ცოლისდები ანაიდა,